

మార్చి, నెం. V, 1902 ఫెబ్రవరి.

# ప్రాణకులు

— ఫెబ్రవరి 20 వారి.

మార్చి 10

సత్రామిలు గూళ్ళెత ర్భాగిల్లిసిలు త్వరిత్తుల్లిసా “ లా ఎంపి. నృ. శ్రేణిల్లిసా, లంగు. మెజ్ల.

1902

## შინაგარსი № 5:

	გვ.წ.
1. პირველ-ყოფილ ხალხის მეურნეობა, ბ. კ.—ისა.	279.
2. <u>საქართველოს ისტორია სომხურ ქრონიკებში,</u> ა. კვერკველაძისა . . . . .	290.
3. პერეთის აღწერა, ინგილო ჯანაშვილისა . . . . .	302.
4. ანტონი I, კათალიკოს-პატრიარქი საქართველოსი, თხზ. თ. ეორდანისი, თარგმანი კ.. ან.თაძისა . . . . .	312.
5. ქართველთ მოქცევა, ლ—ისა . . . . .	330.
6. ს. ვალის სახელწოდებაზე, ბაგრატ ბეთანელისა.	334.
7. საქართველოს სახალხო ისტორია, ღამატება . . . . .	58.

*წარსული წლის „მოგზაურის“ ეველა ნომრები, კარგის  
ედით და წარწერით ლიტს გაგზავნით სამი მანეთი.*

მაისი, № 5, 1902 წელი



გ მ ლ გ ხ ს ქ რ ე ბ

ისტორიულ — არქეოლოგიური და გეო—  
ლიოლოგი — ექსპოვნია იუნიული სურათებიანი  
კურნალი, გამოგა უოველის თვის შირველ რიცხვებში.

ფასა უკრნალისა გაგზავნით:

წლით — ხუთი მანეთი, ნახვარ წლით — სამი მანეთი.

6976  
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს: *B. Տիֆլիսი,  
ვა Պեդաკոს „МОГЗАУРИ“.*

თბილისში ხელის მოწერა მიიღება წერა-კითხვის გამავრ-  
ცელებელის საზოგადოების მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან,  
ძმათა იმედაშვილების წიგნის მაღაზია, „ნდობის“ წიგნის მა-  
ღაზიაში (ქვაშვეთის გიორგის ქუჩაზე), დავით გაბრუაშვილ-  
თან „პურ-ლვინოს“ გვერდზედ და თვითონ რედაქტორთან  
(მამა დავითის მეიდანზე, სახლი № 20).

ხელის მომზადება საზურადლებოდ:

„მოგზაურის“ უოველ ხელის-მომწერს აქვს უფლება დაბე-  
ჭდოს ამ უკრნალში უფასოდ უოველ-გვარი განცხადება, არა უმეტეს  
სასევარის გვერდისა.

რედაქტორ-გამომცემელი ი. პ. როსტომაშვილი.

თბილისი

სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 28.

1902



Дозволено цензурою. Тифлисъ, 4-го Апреля, 1902 года.

# პირველი-ყოფილი ხალ. ზის მეურნეობა.

(ბიუჩერი)



ოგზაურები ათას გვარ საგნებს აგვიწერენ ხოლმე  
თავიანთ თხზულებებში; ფლორა თუ გინდა ფაუნა,  
ყველაფერი ხელის გულსავით აქვთ დავლილი.  
გვიამბობენ სხვა-და-სხვა სარწმუნოებრივ წარმოდგენებს, ზღა-  
პრებს, თქმულებებს; გვისურათებენ ველურების ოჯახურ  
განწყობილებას და სხ. უმრავლესობა მაინც არავითარ ყუ-  
რადლებას არ აქცევს იმას, თუ ველურები რა გვარად იქმა-  
ყოფილებენ სხვა-და-სხვა მოთხოვნილებათ; უყურადლებოდ  
სტოვებენ აგრეთვე მათ მეურნეობის ორგანიზაციას და მა-  
ცერიალურ ცხოვრებას. მათ მთაქეთ თან სანიმუშოდ სამზა-  
რეულოს მოწყობილობა, სხვა-და-სხვა იარაღები, მორთულო-  
ბის და მოქაზმულობის საგნები, რომლითაც ივსება ეტნო-  
გრაფიული მუზეუმები. მუზეუმის მნახველთა უმრავლესობა  
უაზრო და უმნიშვნელო ცნობის მოყვარეობით სინჯავს სა-  
გნებს და არავითარ სერიოზულ მნიშვნელობას მათ არ  
აწერს. ამისთვის მე საჭიროთ ვსკანი და მოვინდომე ერთად  
თავის მოყრა ყველა იმ ფრიად მცირე მასალის, რაც შეე-  
ხება პირველ-ყოფილ ხალხის მეურნეობას. ამ გვარი შრომა  
არ არის მაინც და მაინც აღვილი, მით უფრო, რომ ჩვენ.  
უნდა გამოგვეკვლია იმ ხალხთა მეურნეობა, რომლებსაც  
ევროპის ზეგავლენა ჯერ არ განვიადათ. მაგრამ მაინც  
შედეგი ამ გვარი შრომისა არც ისე ლარიბია, როგორც მო-  
ველოდი. მას შემდეგ, რაც ხალხის განვითარების შესახებ

მეცნიერებაში დამყარდნენ ძირითადი საფუძვლები, — ველურების შესწავლის საქმემ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ; აღმოჩენილ იქმნა მრავალი მსგავსი ხასიათი და ნიშნები სხვა-და-სხვა დაბალ საფეხურზე მდგარ რასათა შორის. გამოიკვლიეს და განითვალისწინეს აგრეთვე ის ხალხებიც, რომლებიც თუმცა მსოფლიო ურთიერთობათა გავლენის ქვეშ იმყოფებიან, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც არ დაუკარგავთ თავის პირველ-ყოფილი ნიშნები.

საჭმლის მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილი იწვევს მეურნეობის განვითარებას. პირველად ადამიანი მცენარეულობით იკვებება. ყოველგან, საღაც კი ადვილია ხილისა და სხვა-და-სხვა მცენარეების ნაყოფის შოვნა, — ის ამაებით იოლად მიღის. საჭიროების ტროს პატარ-პატარა ცხოველებსაც კი მიიშველიებდა ტოლმე პირველ-ყოფილი ადამიანი, რომლებსაც უწვავ-უზარშავად ჩატკბარუნებდა; მაგ., ლოკომუნებს, მწერებს, მატლებს, კალიებს, ჭიანჭველებს და სხვ. როგორც ცხოველი, ის მუდამ საზრდოს ძებნაში იყო, და რასაც კი პოულობდა, იმ წამშივე სჭამდა, ნოქავდა, მომავალზე და ხვალინდელზე ფიქრი და ზრუნვა მისოთვის არ დაწერილა.

რომ მიუუბრუნდეთ ხალხის განვითარების შემდეგ საფეხურებს და რომ ამავე დროს ვიხელმძღვანელოთ რამდენიმე მოსაზრებით, — იმ დასკვნამდე მივალთ, რომ პირველ-ყოფილ ადამიანისთვის არავითარ სიჩნეებს არ წარმოადგენდა შეენიშნა მიწაში საჭმელისთვის გამოსაღევი ძირები, და ისიც, რომ კაკლიდან იზრდება დიდი უზარ-მაზარი ხე. ამ გვარი დაკვირვება გაცილებით უფრო აღვილია, ვიდრე ცხოველების მოშინაურება და შვილდ-ისრის გამოგონება, რაიც ნადირობის დროს აუცილებელ საჭიროებას შეაღენს. ტეხნიკური სიმარტის მხრით მონადირე და მწყემსი სახლში დღესაც მაღლა დგას მიწად-მომქმედ ხალხზე. უკანასკნელ დროს იმ დასკვნამდე მივიღნენ, რომ მონადირუ ხალხი ეს იგივე გადა-

ველურებული მიწის მუშა ხალხია. არ არსებობს არც ერთი მონადირე, არც ერთი მწყემსი ხალხი, გარდა ჩრდილოეთის ძლიერ განაპირა ადგილებისა, რომლის საზრდოს ცოტად თუ ბევრად მცენარეულობა არ შეადგენდეს. ამას გარდა ბევრს მათგანს კავშირი აქვს დაჭრილი ასე თუ ისე უფრო განვითარებულ მეზობელთან და თავის ეკონომიკური დამოუკიდებლობა დაკარგული აქვს. ეს კი არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, თუ გვინდა საზოგადო დასკვნებს მივაღწიოთ. მონადირე, მეთევზე და მწყემს ხალხთა ტიპიურ ნიმუშებს ჩვენ ვხვდებით განსაკუთრებულ გეოგრაფიულ და კლიმატიურ პირობებში. მაგ., მონადირე და მეთევზე ხალხი სახლობს ჩრდილოეთის სულ განაპირა ადგილებზე; მწყემსი ხალხი კი აზიის უდაბურ მიდამოებში. ჩვენს დღევანდელ საგანს იმ ხალხთა მეურნეობის შესწავლა შეადგენს, რომლებიც სახლობენ ამერიკასა, აფრიკასა, ავსტრალიასა, მელანეზიასა და პოლინეზიაში. ეს ჯერ კიდევ დაუთვალიერებელი და გამოუკვლეველი ადგილებია, რომლების ბუნებრივ განსხვავებას წარმოუშვია განსაკუთრებული თვისებები პირველ ყოფილ ადამიანის მატერიალურ ცხოვრებაში. მაგრამ განსხვავება აქ სხვა-და სხვა შთამომავლობათა შორის იმდენი მაინც არაა, როგორც, მაგ., ესკიმოსსა და პოლინეზიელს შორის. - ყოველ შემთხვევაში, მიუხედავად რასიული განსხვავებისა, ამ ხალხთა ცხოვრების პირობებში მაინც საკმაო საერთოა, რაზედაც შეიძლება ჩვენი ყურადღება შევაჩეროთ. მასთან ეს ერთად-ერთი უუძველესი ადგილია კაცობრიობის დასახლებისა, საღაც მიუხედავად სიმდიდრე-სილარიბისა, ან და, შეიძლება, თვითონ ტროპიკული ბუნების სიმდიდრის წყალობით, კაცობრიობა სულ ნელა-ნელა ვითარდება და, ვიდრე სხვაგან, განვითარების ყველა საფეხურებზე პირველ-ყოფილ ადამიანის თავის რჩენის ერთად-ერთ წყაროთაგანს მცენარეულობა შეადგენს. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, პირველად მისთვის ხორცეულობა ძნელი საშოვარია. ამას ოდნავ

ვალაც არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ ბევრ ველურ ხალხს ისეთი მაღა აღეძვრის ხორცის ჩაკოკლოზინებისა, რომ არც აღამიანის ხორცაც დაგიდევს, თუ კი მოახელა. უსა-თუოთ ეს მით აიხსნება, რომ აღამიანის ორგანიზმის ნორმა-ლურ მსვლელობისთვის მარილის განსაზღვრული რაოდენო-ბაა საჭირო, რომლის შევსებაც მცენარეულობას არ შეუ-ძლია. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება მხოლოდ ხორცის შემწეობით ხდება. მარილის ასეთი ხარბობა ემჩნევათ აგრე-თვე იმ ჩვენ შინაურ ცხოველებსაც, რომლებიც მხოლოდ მარტო მცენარეულობით იკვებებიან. საჭმლის მოთხოვნილე-ბა ეს ერთად-ერთი ნამდვილი მოთხოვნილებაა, რომელიც აიძულებს პირველ-ყოფილ აღამიანს იმოქმედოს, გაინძრეს, ხეს ეცეს, მიწას ეცეს და შიმშილი მოიკერის. კულტურულად ჩამორჩენილ ხალხში საზრდოსთვის ზრუნვა იმაში მდგომა-რეობს, რომ მამაკაცები შვილდა-ისრით ნადირობენ, ხოლო დედა-კაცები კი ხილეულობას აგროვებენ, ან და თავ-წამა-ხული ჯოხით მიწაში სხვა-და-სხვა ჭიებს და მატლებს დაე-ძებენ.

ამ გვარად, საჭმლის მოპოების პრიმიტიულ საშუალე-ბებშივე ხდება სქესთა შორის შრომის განაწილება. ცოლი მინდორ-ველზე აგროვებს მცენარეულობას, ქშარი - ტყე-ლრეში სხვა-და-სხვა ცხოველს სიცოცხლეს უსპობს. ნანაჭი-რევი და ნაპოვნი იმ წამშივე ინთექება, და არავინ, სანამ ის მშიერია, არ ფიქრობს სხვაზე. ამან გამოიწვია კვებაში სქეს-თა შორის განსხვავება, რამაც, შესაძლებელია, ხელი შეუ-წყო კაცისა და ქალის ფიზიკურ განვითარების დიფერენცია-ციას.

შრომის განაწილება სამ პრიმიტიულ ჯგუფთა შორის, რომლების ცხოვრების ვითარებას აქ ვრცლად არ შევხებით, კულტურის უმაღლეს საფეხურებზე თან-და-თან განვითარება და წინ სვლა ეტყობა. ეს განვითარება ბოლოს უმაღლეს ხარისხამდე აღწევს, ასე რომ კაცის და ქალის განსაკუთრე-

ბული მოქმედების სარბიელი ჰბადავს მეორე ხარისხოვან სქესებრივ თვისებებს, რომლებიც საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, თუ გვინდა გავიგოთ პირველ-ყოფილ ხალხის მეურნეობის სისტემა. მთელი სისტემა „სიკეთის“ წარმოებისა განისაზღვრება მხოლოდ ამ სქესებრივი თვისებებით. თუ ამ წარმოებას მივაქცევთ ყურადღებას, დაენახავთ, რომ დღე-ვან დელ ველურების დიდი უმრავლესობა, რომლებიც კი შესწავლილია ევროპიელ მოგზაურთა-მიერ, მხოლოთ მიწად-მოქმედებით ირჩენს თავს. ამ გვარ ველურთა რიცხვს ეკუ-თვნიან მცირე გამოკლებით, აფრიკის ყველა ნეგრები, მალა-რელები, პოლინეზიელები და მელანეზიელები, და აგრეთვე ამერიკის პირველ-ყოფილი მცხოვრებლები, ჩრდილოეთის და სამხრეთის მკვიდრთა გამოკლებით.

ყალბი აზრია, ვითომც ჩრდილო-ამერიკის ინდოელები მარტო მონადირე ხალხს შეადგენდეს. მდინარე მისისიპის და წმ. ლავრენტის მდინარის სამხრეთ-აღმოსავლეთის ინდიელე-ბი მცენარეულობის მოშენებას მისდევდნენ ევროპიელების მისვლამდის. სხვა რომ არა იყოს რა, ზოგიერთ კუთხეებში ბრინჯის მოყვანა და Manganita-ს ნაყოფიდან ფქვილის დამზადება მაინც კი იცოდნენ. თანამედროვე ველურების მიწად-მოქმედებას განსაკუთრებული თავისებური ხასიათი აჩის. პირველ ყოვლისა, მათ ჩვენებური სახისის და გუთ-ნის არაფერი არ გაეგებათ, რომელიც აუცილებელ საჭიროე-ბას შეადგენს მიწად-მოქმედებაში. აგრეთვე მათ არა აქვთ სხვა ამ შემთხვევაში საჭირო იარაღები და არც შინაური პირუტყვი ჰყავთ. თუმცა აქა-იქ შეხვდებით მიწის მონაკე-ლებას, მაგრამ ძლიერ იშვიათად. რაკი მიწა გამოიფიტა და მეტი მცენარის კვება აღარ შეუძლია, მას სტოვებენ და სხვა მიწაზე გადადინ, რასაც ხელს უწყობს მიწის სათემო მფლო-ბელობა. მიწას მხოლოდ მარტო დედაკაცები ამუშავებენ, მამა-კაცები მარტო ტყის გაკაფვის და გაწმენდის დროს ეხმარებიან:

ასეთს მიწად-მოქმედებას დაარქვეს „თოხური“, რადგან ც მიწას უმთავრესად თოხით ამუშავებენ. მოსაშენებლად ისეთს მცენარეებს ირჩევენ, რომლებიც ძირს იკეთებენ: კასაუ, ტარო, ბატატი, მიწის ვაშლი, ბანანი, ხაპი, გოგრა. თესვენ აგრეთვე ბრინჯს, ღუროს, სიმინდს (მაისი). ბრინჯის სამშობლოდ უთუოდ ჩინეთის სამხრეთი ნაწილი უნდა ჩითვალოს, ღუროსი—აფრიკა და სიმინდისა—ამერიკა. ტროპიკულ ხეხილებსაც ამ გვარად აშენებენ: სარგოს, ფინიკს, ქოქუსს და სხ.. რა თქმა უნდა, საღაც მიწას ამ გვარი საცოდავი იარაღებით ამუშავებენ, იქ დიდი ადგილის მოვლა ძნელია და შეუძლებელიც. ამისთვის მიწებს პატარ-პატარა ნაჭრებად ჰყოფენ და ისე უვლიან. მინდვრები კვალებით ისერება, რომლებსაც დიდის ხელოვნებით აკეთებენ. მთელი მიწა შემოლობილია. რომ დაიფარონ სხვა-და-სხვა ცხოველებისა და ფრინველებისგან თავიანთი ბალები. მალაიელები დასანახ ადგილზე საფრთხობელას სდგამენ. აფრიკაში დათესილ მინდვრების განაპირას პატარა ქუხულებს აშენებენ, რომლებშიაც პატარა ქალები სხვა-და სხვა მტრების მოსვლას უყარაულებენ (უთვალთვალებენ). ველურები მისდევენ ერთნაირ თან-დათანობას ხეხილების მოვლაში. კონგოს ნაპირებზე, მაგ., ჯერ ცერცვს სთესენ, მერე იმავე ადგილზე ფეტვს. ახალ პომერანიაში პირველად მოჰყავთ დიოსკირი, შემდეგ იმავე ადგილზე—ტარო, ბოლოს ბანანი, შაქრის ლერწამი და სხ.

მოგზაურები მეტად განცვითრებულან, როცა უტეხი ტყის მახლობლად ხელოვნურად დამუშავებული მინდვრები უნახავთ. უფრო მჭიდროდ დასახლებულ აფრიკის მიღამოებში ასეთი გაშენებული მინდვრები რამდენიმე ვერსის მანძილზე გაჭიმული. ნეგრის ქალების შრომის-მოყვარეობა მით უფრო გასაოცარია, რამდენადაც მათ აუტანელ პირობებში უხდებათ მოქმედობა. იგინი არაფრით არ არიან უზრუნველყოფილნი. მუდმივი ლაშქრობა და მტაცებლობა, არ ცოდნა— დათესილს აიღებს თუ ვერა, დღეს გაანადგურებენ თუ ხვალ,

— ი როგორია ეს პირობები. ლივინგსტონმა გასაოცარი ცოცხალი სურათებით აგვიწერა, თუ რა განმანადვურებელი თვისება აქვს მონებზე ნადირობას. „ადამიანები დაზოცილები ყრია მიწაზე, საცხოვრებელ-საბადებელი მინგრეულ-მონგრეული, მინდორში პური შემოსულა, მაგრამ მომკელი არავინაა.“ საზოგადოთ რომ ვსთქვა, ამ ხალხის ცხოვრება მარტო მიწაზე არ არის დამოკიდებული. ძვირად მოხდება ხოლმე, რომ ერთ და იმავე მიწაზე რამდენიმე მამობას გაეძლოს. მათი საცხოვრებელი ბინა ხის ტოტებიდან და ბალახ-ბულზებიდანაა მოფოხვილი (აშენებული). მთელი მათი ქონება ერთ წუთში შეიძლება ზურგით გადიტანო სხვა აღგილს. სულ მოკლე ხანში, რამდენიმე ღლის განმავლობაში, ახალ აღგილზე ახალ სოფელს, ახალ ცხოვრებას აჩალებენ, რომელიც ძველიდან იმით განსხვავდება, რომ მასში ჯერ შინაურ მწერებს არ დაუბუღნია.

როცა უყურებ თოხით მიწის დამუშავებას, ასე გგონია, თითქოს მხოლოთ ამ შემთხვევისთვის არის გაჩენილი თოხით, ის არ თხოულობს არავითარ. ძირითად კაპიტალს. დაზოგვა და შენახვა ჭირნახულისა ველურებს არ უნდათ, რადგანაც ჰავა ხელს უწყობს რამდენჯერმე განმეორდეს წელიწადში ერთი და იგივე მოსავალი. იმ ქვეყნებში, სადაც პური მოჰყავთ, აშენებენ ბელლებს, ნალიებს (სასიმინდე) და შათში ხორბლეულობას ინახვენ, ან და პურს დიდრონ თიხის ჭურკლებში აგროვებენ. ეს შენახული და დაზოგვილი პური მოუვლეულობის გამო ადრე ფუჭდება. ამ მოვლენით ლივინგსტონი ხსნის იმ ფაქტს, რომ ნეგრები კარგ მოსავლიან წელს ლუდს ხდიან ბლომად.

თოხით შიწის დამუშავება ეს ერთად ერთი და უკელაზე მეტად გავრცელებული სისტემაა მეურნეობანი. ის ხმარება-შია მთელ შუაგულ აფრიკაში, ინდოეთ-ჩინეთში და ოსტ-

ინდოეთის არხიპელაგზე \*). პირველად თოხს დედაკაცები ხმარობდენ. თოხი ერთი კულტურულ ფაქტორთაგანია განვითარებისა.

დედაკაცი იმ თავითვე ეძებდა თავის გარშემო მცენარეულობას; ჰკრეფდა ხილს ხეზე, აგროვებდა გემრიელ მიწის ვაშლებს. ის ამ გვარ შრომაში დახელოვნდა, რამაც ხელი შეუწყო მიწად-მოქმედების შემოღებას. ამ გზით ქალმა ტენისური გამოცდილება შეიძინა, რომელსაც კაცი მოკლებული იყო. მისი (ქალის) შრომა ერთად ერთ უმთავრეს წყაროდ იქცა ცხოვრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და დაედო საფუძვლად ოჯახურ განწყობილებას, სადაც მამაკაცის მოვალეობას მტრისა და ნადირისგან დაცვა და ხორცეულობის შოვნა შეაღენს. და იქ კი, სადაც ნადირი ნაკლებია, ან სულ არაა, მამაკაცები მიწად-მოქმედებაში იღებენ მონაწილეობას, მაგ., მალაიელები.

ახლა მ-ვუბრუუნდეთ თავის რჩენის მეორე წყაროს, — ნადირობას და თევზაობას, შვილდ-ისრით, ან და ლახვარით, შეიძლება დაკოდო, დასჭრა ნადირი, მაგრამ მისი სრულიად მოკვლა კი არ შეიძლება. დაკოდილს (დაჭრილს) ნადირს ველურმა კვალ-და-კვალ უნდა სდიოს, ვიდრე ის სისხლიდან სრულიად. არ დაუკლება და სისუსტისაგან არ წაიქცევა. ამ გვარი ნადირობა, რა თქმა უნდა, მეტად სახიფათოა და საშიშარი. ამისთვის მოიგონეს სხვა-და-სხვა თინები შეცების დასაჭრად, როგორც, მაგ., ლრმა თხრილებია, ჩაჩებილი ხეები და სხ. ან და ნადირის მოკვლაში მთელი თემი, მთელი სოფელი დებულობს მონაწილეობას. ამის მიხედვით განვითარდა ნანადირევა-ს და სანადირო ადგილის სათემოდ საკუ-

\* ) დადათ შატივცემულ ბიუსერს ჩვენებური (მეტადრე გურიის) მიწის დამუშავება რომ ენახა, დიდ განსხვავებას ვერ ნახვიდა აურიას ნეგრსა და ჩვენებურ მიწის მუშა კაცში, თუმცა ჩვენ ევროპიულებათ გითვლებით და ნეგრები კი ველურებად. რელ.

თრება; დააწესეს კანონები ნანაღირევის გაყოფაში იმ პირთა შორის, ვინც მონაწილეობას ღებულობდნენ ნაღირობის დროს. მაგრამ ამას აქ არ შევეხებით. ჩვენთვის უმთავრესად ის არის საჭირო, რომ თავის რჩენის ამ გვარმა საშუალებამ წარმოშობა ერთ გვარი შრომის პრინციპი,—გარემოება, რომელშიაც ხდება პრიმიტიულ და პოლიტიკურ თემების ჩასახვა და გამოჩეკა.

იგივე ითქმის თევზაობის შესახებაც, როცა მასში რამდენიმე პირი ღებულობს მონაწილეობას. ერთი საერთო ბადე აქვთ და საერთო ნავი; მხოლოთ შეერთებული ძალაა საჭირო, რომ ეს სათევზაო იარაღესი აღამიანზა გამოიყენოს. ახალ-ზელანდიელები, მაგ., ათას წყრთიან ბადეს ქსოვენ, რომლის გაშლას 50—60 კაცი უნდება. ანკესა და ბადეს გარდა ველურებს მრავალი სხვა სათევზაო იარაღები აქვთ: ჭვილტი, ლახვარი და სხ. უცელაფერი ეს, რაც თევზაობის შესახებ ითქვა, იმის მომასწავებელია, რომ ეს ხელობა ველურებში უფრო რეგულირულადაა დაყენებული, უკეთესად მოწყობილია, ვიდრე ნაღირობა. წყნარის ოქეანის ზოგიერთ კუნძულის მცხოვრებლები შთელი კვირაობით ემზადებიან სათევზაოდ, და თევზაობის დროს წინამძღვალები, ომშიაც შეთაურებათ ითვლებიან. მდინარეებში თევზაობა ძლიერ გავრცელებულია სამხრეთ აფრიკის ძველ მცხოვრებთა შორის. ჯე ისეთი შთამომავლობა არსებობს, რომელსაც მოტანტალე მეთევზე ხალხს უწოდებენ. ეს ხალხი როცა მოათავებს ერთ მდინარეში თევზაობას, მეორე და მესამე მდინარეზე გადადის. თევზაობაში ყოველთვის და ყოველგან მამაკაცები ღებულობენ მონაწილეობას; მხოლოდ ზარტო პოლინეზიის ზოგიერთ მიდამოებში ქალებიც მხარში უდგანან კაცებს თევზაობის დროს.

ტროპიკულ ქვეყნებში, რაღაც ზორციელობა აღრე და მაღალ ყროლდება, ნაღირობას და თევზაობას ღროვებითი მნიშვნელობა აქვს. ხორცი და თევზი მცენარეულობის დამა-

ტებაა, სხვა არაფერი. მაგრამ ველურებმა ძველი დროიდან შეიგნეს თევზის და ხორცის წაჭინობა (გახმობა) და დამზადება. ამ გვარ საშუალებას მისდევენ აგრეთვე პოლინეზიელები, მალაიელები, ამერიკის ველურები, ნეგრები და ავსტრალიელები. ამ გვარად შენახული ხორცი და თევზი მარტო წინამძღვალების და უფროსების ლუქმას შეადგენს, და ქალებს აკრძალულიც კი აქვთ წამჭვარის ხორცის და თევზის ჭამა.

ამის მიხედვით, ველური ადრე უნდა მიჩვეოდა ცხოველის მოშენება-მოშინაურებას, რომ მუდამ მზად ჰქონოდა ხორცეულობა. ტროპიკის მცხოვრებლები ნაკლებად მისდევენ პირუტყვის მოშენებას. ყოველგან გავრცელებულია ქათამი. მასთან აფრიკაში ჩვენ ვხვდებით ოხას, მალაიელებსა და პოლინეზიელთ შარის—ღორს, ამერიკაში—ინდოურს, იხვს, ზღვის ღორებს. ხარი შეგხვდებათ მარტო მალაიელებში და აფრიკის ზოგიერთ მიყრუებულ ადგილებში. ამ ხალხთა უმრავლესობა არ სარგებლობს. შინაური საქონლით, როგორც სამუშაო ძალით. ზოგიერთები არც კი წველიან შინაურ პირუტყვს. აღმოსავლეთ აფრიკის მცხოვრებლები თუმცა მისდევენ პირუტყვის მოშენებას, მაგრამ არასოდეს საკლავად არ ხმარობენ მათ. ეკვატორიალურ აფრიკაში ხარს ალაგ-ალაგ ამუშავებენ. მაგრამ ნეგრები იჭერენ პირუტყვს, როგორც „სიმღიღრის და ფანტასტიკურ სათაყვანებელ საგნის გამომხატველს“.

თანამედროვე ველურებში პირუტყვის მოშენებას, უმთავრესად, ამ გვარი ხასიათი აქვს. ინდოეთის სოფელი შუაგულ ბრაზილიაში ერთ დიდ სამხეცეს წარმოადგენს. ქოხში და მის გარშემო თუთიყუშები, ტაპირი და მაიმუნები, არწივი და ხელიკები,— აი, ერთი სიტყვით, მთელი ფაუნა ამ მატერიკისა. ინდოელებმა ტრინიზმების ღებვაც კი იციან. იგინი არც ერთ ცხოველს ხორცის, ან სხვა რაიმე საოჯახო მიზნისთვის. არ იჭერენ; წარმოიდგინეთ ქათმის კვერცხსაც არ

ხმარობენ საჭმელად, თუმცა მათი ქათმები კვერცხს ბლომად სდებენ. ინდოელისთვის ცხოველი ადამიანის მსგავს არსებას წარმოადგენს, რომელიც ართობს, აქცევს მას. ოკეანის მცხოვრებლებში ლორიც ამ გვარ პატივდებაშია. მას მთელი ოჯახი ულოლიებს, ეფერება, ესაყვარლება; გოჭები ქალები ხშირად თავის ძუძუს აძლევენ. ლორის ხორცს სჭამენ მხოლოდ მარტო დღესასწაულების დროს, და მაშინაც უმაღლესი და უფროსი პირები. ველურებს შორის ერთად-ერთი გავრცელებული ცხოველი ძალლია. მას იჭერენ უფრო მორთულობის და სილამაზისთვის, ვიდრე ნადირობისთვის, ზოგი ხალხი ძალლის ხორცს სჭამს, მაგრამ ასეთი ხალხი არც ადამიანის ხორცზე იტყვის უარს. ეს ხალხი კაცის-ჭამია ხალხია.

როგორც დავინახეთ, პირუტყვის მოშენებას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რომ მაზე დაფუძნებული იყოს ველურის თავის ჩერენა. მას ველურის ცხოვრებაში პირდაპირი ხმარების მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ამ ხალხის გოთხოვნა ლება მარტო კვებით არ განისაზღვრება. თვით უმდაბლეს კულტურულ საფეხურზე მდგარი ხალხი იღებავს თავის სხეულს, აკეთებს შვილდისარს, ხოლო უფრო მეტი კულტურის ხალხი იშენებს მაგარ სადგომებს, რთავს და ქსოვს სხვა-და-სხვა მატერიებს, ამზადებს საჭმელს; სწვავს დიდრონ თიხის ჰურჭლებს, ყველა იკეთებს ცეცხლზე საჭმელს და თითქმის ყველა დასათრობ სასმელებს ხდის. ყველა ამაებისთვის საჭიროა შრომა, პროცესი „ნივთიერების გადასხვა დეკონსტრუქციის“, გარა დაქმის და გაკეთიდ შობილებისა“, და რასაც ჩვენ არსებითად რეწველობას და ხელობას ვუწოდებთ.

რა გვარი, თანამედროვ ველურის შრომა? ამ კითხვის გამოსარკვევად ჩვენ უნდა გავარჩიოთ მრეწველობის ტეხნიკური და ეკონომიკური მხარე. მაგრამ ამაზე შემდეგ იყოს.

# Սայառություններ ու ժողովներ և մատենալիքներ շրջանակը (Տ. 20.)

յանհերթ-եանաս մռչցած (Ց. 20).

Քարսով գրուուս ամեցնեց հայեն. առ յո պահ զալում գումար, առամեց զալում գումար առաջ մոցստյատ ուսց, հոգորու ամաս կամ գարդմուցմա ցանեաբաց. մյուս գումար առաջ մոցու տերած, հոմ յարտաց մուշրաց (գումար մուշրաց) և առաջ մուսլու դա օյնուած թաշ-ածասո Քամուսպանու սայարտաց լունի; դա ամաս մուշրաց ու, հոմ մոցու յարտաց դա յաեցու առերեց ոյմնա դա ցանաց ցուրճա. ոյմուրանի, մեյյ յաեց- տուսա, ուզերուու Մուսլու (?) ցանյուա; լուսանածու-կո, յարտալու մյոյյ, դա օյնուած դա սպարտաց Քամուսպանու. թաշ-ածասմա ըուզու պեցնուսանո չարո դաստուա սայարտաց լունի յարհիսան-եանու սուրուստիու, հոմելուսաւ ըուզու մուշրացու մուսարա, դա սա- յարտաց լունի հու մուլութա, անց պահանա ամ չարու մուսար- սարդալու: „Հոգորու-կո մոցու սայարտաց դա մուրիուլու, յև մուշրաց տօլուու մուսպանու դա մյոյյ դա ցամուսպեացու“. Ըածու թաշ-ածասո սպարտաց դա յարհիսան-եանու Մյուլցա և թաշ- ածու սպարտաց սամուլցատա ցամոնաեացա սայարտաց լունի մուրիուլցած. մարհամ թաշ-ածասո ցուլու եռմ մեռլու ծո- րու-ցաննիրասուլցածու պայմանա: ամուրու սայարտաց լունի-

\*) Collection d'historiens arméniens.—t. II; Mémoires historiques par diacre Zakaria. Խոմեյրութան տարբին- ան ծրասեյն-մոյր.

მორჩილებით ის ვერ დასჯერდებოდა და უნდოდა ქრისტიანობაც ძირიანად აღმოედხვრა. ფიქრმა დაუტრიალა თავში: მოურავი ცოცხალი რომ გავუშვა და მეფეთაც რომ გავხადო საქართველოში, ამით ხომ მეტს მტერს გავიჩენო,— და გარდასწყვიტა მოურავისთვის ბოლო მოელო; ამიტომ ყარჩყაი-ხანს მისწერა ბრძანება ამის შესასრულებლად: „გი-ბრძანებ შაპ-აბაი ყარჩყაი-ხანს, როგორც-კი საქართველო მთლად დაიმორჩილო, დაუყოვნებლივ მოურავიც თავიდამ ამაცილო რა საშუალებითაც გინდა, რათა მტრობა და შულლი არ გაგვიწიოს“—ო. დაწერილი და დაბეჭდილი წერილი შიკრიკს მისცა, რომელსაც უბრძანა წერილი პირადათ ყარჩყაი-ხანისთვის მაჟცა და სხვისთვის ხელში არ ჩაეგდო. მაგრამ, როგორც სოლომონ ბრძენს უთქვამს, ვინც სხვას უთხრის საფლავსა, ის თვით მოჰყვება შიგაო, ამ შემთხვევაშიაც ასე მოხდა; მივიდა შიკრიკი საქართველოს თუ არა, აქ ერთს აღვილას ჯარი ნახა დაბანაკებული; გზის პირას კარავი იდგა, რომელიც მოურავის ყოფილიყო. თვალი მოჰკრა მოურავება მომავალ შიკრიკს და წინ გადაელობა; — ვინ ხარო, შეეკითხა, საიდამ მოხვალ და ვინ გინდაო?

— შიკრიკი გახლავარ, შაპ-აბასისაგან გამოგზავნილი, წერილი მაქვს ყარჩყაი-ხანთანა.

— მე ვარ ყარჩყაი-ხანი, — უთხრა მოურავმა და კარავში შეიყვანა, ისე რომ ეს არავის არ შეუნიშნავს. გამოართვა წერილი და უბრძანა თვის მხლებელთ შიკრიკი განზე გაეყვანათ. რო წაიკითხა წერილი, მაშინვე უბრძანა მხლებელთ შიკრიკი მოეკლათ და იმ ლამესვე ჩუმად დაიბარა ქართველი თვად-აზნაურობა, აუხსნა მას საქმის გარემოება, შაპ-აბასის ბოროტი განზრახულება და ბოლოს უთხრა: „რას მემართლება შაპ-აბასი, რითი ვავნე, რო ჩემი მოკვლა უნდა? მთელი საქართველო ავაოხრებინე; გავადევნინე მისი მეფეები, და ასე უნდა დამაჯილდოვოს ამ სამსახურისთვის? საღაა მისი დაპირება — საქართველოს მეფედ გაგხლიო? თქვენ ხომ ჩემი

თანამემამულენი ხართ და მეგობრებიც; მაშ შეეუერთდეთ ერთმანერთს, გმირობა გამოვიჩინოთ და ამ ლამესვე ამოვწყვიტოთ სპარსელთ ჯარიო“.

სპარსელთ ჯარი მოურავმა ჯერ დაანაწილა და ასე დაუფილი ქართველ რაზმებში აქა-იქ დააბანაკა; შემდეგ ჩუმად ბრძანება გასცა ქართველ ჯარზე: ლამის ამა და ამ საათს ყოველი ქართველი რაზმი თავს უნდა დაეცეს სპარსელებს და შეუწყალებლად ამოსწყვიტოსო“. სპარსელებმა ვერაფერი გაიგეს და დანიშნულ ლამეს ტკბილად ეძინათ. ქართველების მოულოდნელად თავს-დასხმა ისეთი საშინელი იყო, რომ თითქოს წარღვნა მოვიდაო და მთლად წალეწა ჩინებული ჯარი. ყარჩყაი-ხანი, იუსუფ-ხანი, ყარა-ხანი და ჯარის სხვა უფროსებიც მოკლულ იქმნენ. ვინც სიკვდილს გადარჩა წივილ-კივილით, ფეხ-შიშველა, და ქუდ-მოგლეჭილი თავ ზარ-დაცემული უგზო-უკვლოდ გარბოდა. ასეთი იყო ეს საშინელი ღამე. რაც რამ საქონელი და სიძიდიდრე ჰქონდათ, ქართველებმა აიკლეს. ასეთივე აკლება-დატაცება ჩაიღინეს ყველგან, საღაც-კი გავლა მოუხდათ. შეხვდებოდათ თუ არა ვინმე მაჭმადიანი, მაშინვე ჰკლავდნენ მას და ტყველ მიჰყავდათ ქალები. აღჩოტს-ვანქის ბერმა პეტროსმა მიამბო, რომ ასეთი აკლება ქრისტიანებსაც არ მოაკლესო, არც თვით პეტროს ბერსაც. ეს მოხდა 1624 წ. ოქტომბრის 16.

### სპარსელი თმი საქართველოსთან (გვ. 22).

კარგათ იცოდა მოურავმა, რომ ამ სპარსელ ჯარის ამოწყვეტაზე ამბავს მალე მიუტანდნენ შაპ-აბასს, ამიტომ მაშინვე გაგზავნა თვისი ცოლ-შვილი არზრუმს და თან გააყოლა რაც რამ ებადა. შეუდგა ქართველ ჯარის შეგროვებას და მოწყობას, და დაიწყო ცდა მოსალოდნელ უბედურებათა ასაცილებლად. რო გაიგო შაპ-აბასმა იმ ლამის ამბავი, ისე გაშმაგებული ჯავრისაგან, ისეთი გრგვინვა და ლრიალი აუ-

6976

ტეხია გააფთოებულსა, რომ კაცს ეგონებოდა, ცოფიანი ლომიაო. მყისვე ბრძანება გაუცია ერთ მთავარ-სარდლისთვის, ყორჩი-ბაშისათვის, ჯარით შეჰსეოდა საქართველოს. თავის მხრით მოუზავიც გამოვიდა თავისი ჯარით საომრად და მდინარე ალგეთზე მიესია ბრძოლით. ქართველ ჯარში ერთი მებრძოლი ერია უზარ-მაზარ ტანისა, მძლავრი და შეუპოვარი გმირი, სახელად ალა-თანგი. ეს მდევ-კაცი ჯარის თავში მოქცეულიყო და ამბობდა—სპარსელი ჯარი ჩემი სათამაშოა. სპარსელებსაც გამოუჩნდათ ამ გვარივე გმირი ამირ-გუნა-ხანი, რომელსაც ალა-თანგი მასხარად იგდებდა და თავ-წითელი ლორი უწოდა. დაიძრა ალგეთს ჯარი, ასტყდა საზარელი ბრძოლა, წამოვიდა სისხლის ნიაღვარი; თოფის სროლა, შვილდისართ სისინი, ცხენების ჭიბვინი, — ყველა ეს ერთ საშინელ ჭექა-ქუჩილად შეერთდა, რომლით მოელი არე-მარე შეინძრა. ბრძოლამ მთელს დღეს გასტანა, სპარსელების საკლავი საქონელი, ცხენები, ჯორი და აქლემები დაცუფიანებულები მიჰკროდნენ ყოვლის მხრით. ამბობენ, რომ ბრძოლის ველიდამ გამოქცეული აქლემები იმ ღამესვე შირაზს ჩასულან, ესე იგი იმ ქვეყანას, საიდამაც მოყვანილები იყვნენ საქართველოში. ამ გაცხარებულ ომში ალა-თანგი და ამირ-გუნა-ხანი ერთმანერთს შეხვედრიან. — „პა, შენ აგორებულო ლოდო, სად მირბიხარო?“ — შეუყვირია ამირ-გუნა-ხანს ალა-თანგისთვის და შეეტაკა გმირი გმირს ხმალ-და-ხმალ. გაიქნია ხმალი ალა-თანგმა და მარცხენა ხელი ჩამოათალა მოპირდაპირეს; გაიელვა ხმალი მეორესი და ალა-თანგს ჩამოუვარდა მარცხენა ხელივე, ალა-თანგი ცხენს შეჩერდა და ასე გაიყვანეს მისმა მხლებლებმა ბრძოლიდამ. დაჭრილი ამირ-გუნა-ხანი კი მისმა შვილმა, თავმაზ-ბეგმა, გაიტაცა და გაგზავნა ერევანში, სადაც სპარსელთ ჯარი იდგა. ამ ბრძოლაში დაიღუპნენ შაპ-ბანდაპ-ხანი, სელიმ-სულთანი და სხვა წარჩინებული სპარსელებიც. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, გამარჯვება მაინც სპარსელებს დარჩათ და დამარცხდნენ

ივერიელები, რომლებიც ამოწყვეტილ იქმნენ. რაც შეეხება მოურავს, ის ასმალეთში გაიქცა; სპარსელები გაძატონლენ საქართველოში.

### დგენდას ასტორაა (გვ. 118).

რამდენიმე სიტყვა ვსთკვათ ამ ისტორიაზე. ღიდებულ შაჰ-აბასმა ივერია დაამხო და აიკლო; შემდეგ, სპარსეთში რო წავიდა, თან თეიმურაზი წაიყვანა, ალექსანდრე მეფის შვილი. იქ იყოლია რამდენსამე ხანს და ბოლოს ისევ საქართველოში გამოუშვა კახეთის მთავარ-მართებლად. შაჰ-აბასი რო მოკვდა, მის ტახტზე მისი შვილის-შვილი ავიდა, შაჰ-სოფი, და ამის სიკვდილის შემდეგ გამეფდა შაჰ-აბას მეორე, შაჰ-სოფის შვილი. ამ შაჰ-აბას მეორის დროს თბილისში მეფედ იჯდა როსტომი, ბაგრატიონთ გვარისა. ეს როსტომ მეფე იმ თავითვე გადამტერებული იყო კახეთის მეფეზე, თეიმურაზზე, და სკლილობდა მისთვის სამფლობელო. წაერთვა და თავისთვის შეემატა. თეიმურაზი, რაღა თქმა უნდა, არც თვის უფლებას და არც სამფლობელოს არ დაუთმობდა თბილისის მეფეს და აქედამ წარმოსდგა მათ შორის ომი. თეიმურაზს შვილი ჰყავდა, დავითი, მეორე ცოლის ხორაშანისაგან ნაშობი, რომელიც იყო და ლუარსაბ შეფისა და ასული გიორგი შეფისა. ამ დავითმა თვისი მოხუცი მამა ომში არ გამოუშვა და თვითონ გამოვიდა ჯარის წინამძღვალად. თბილისის ჯარი ალავერდს იდგა, მაგრამ ამ ჯარის ერთი ნაწილი, სპარსელთაგან შემდგარი, წინ იყო გაგზავნილი და მიადგა შილანალ-ქემში (Milanal-kèmii?). ამასობაში კახელებიც დავითის წინამძღვალობით ალგეთს მისულან და დაჰსევიან თბილისის ჯარს. ბრძოლაში დავითიც ჩარეცლა-გმირულად. მილანალ-ქემში მისულ სპარსელ რაზმს, როგორც კი გაუგია ომის ხმა და ნაღარის ცვირილი, სწრაფად უკან დაუწევია და, ალგეთს რო მისულა, მებრძოლ

კახელების უკან აღმოჩენილია. ამ რიგათ კახელები ორ ცეცხლ შეა მოქცეულიან. დავითი მოკლულ იქმნა, და, რო უნახავს ეს მის ჯარსა, ბრძოლაზე ხელი აუღია და გაქცეულა. სპარსელ რაზმს კახეთის საზღვრამდე უდევნია გაქცეულ ჯარისთვის. მოხუც თეიმურაზმა, შვილის დაკარგვით გულმოკლულმა და ამ დამარცხებით შეშინებულმა, გარდასწყვიტა შავსთან წასულიყო; შავმა რო მომკლას კიდეც, — ეს უფრო მირჩევნია, ვიდრე ჩემის თანამემამულის ხელით სიკვდილის მიღებაო, — უთქვაშს მოხუცსა. შავ-აბასმა მეგობრულად მიიღო თეიმურაზი და თავისთან იყოლია რამდენსამე ხანს; შემდეგ მთავრად გააწესა ერთგან სპარსეთში. ბოლოს ერთს სასტიკ წერილში ბრძანება მისცა როსტომ მეფეს, თეიმურაზთან მტრობა შეეწყვიტა და არ დაეშალა მისთვის კახეთში დაბრუნებულიყო. თეიმურაზი გამოემშვიდობა სპარსეთის სამეფო სასახლეს და გაეშურა თავის ქვეყნისკენ, მაგრამ ველარ ეღირსა სამშობლოს ნახვა და გზაში გარდაიცვალა. ირაკლი პირველმა, მისმა შვილის-შვილმა, დავითის ძემ, რო გაიგო პაპის სიკვდილი, შიშით აღარ დადგა კახეთში და მოსკოვს წავიდა საცხოვრებლად. რამდენჯერმე შავ-აბასმა თავისთან მიიწვია ეს თეიმურაზის შვილის-შვილი, მაგრამ მან უარი განაცხადა მასთან მისვლაზე, რადგან ჰუკიჭრობდა, იქ სიკვდილი არ ამცდებაო. შავ-სულეიმანმა, შავ-აბასის შვილმა და მემკვიდრემ, ჯულფელი გრიგორი მიუგზავნა წერილით და ფიცითა და ასე დაიყოლოა შასთან ყაზვინში მისულიყო. ამ მასვლის დროს ჩვენც იქ ვიყავით, კათალიკოს იაკობი და მე მისი მხლებელი და მსახური ვიყავით. ეს მოხდა 1674 წ. აპრილის 23.

#### თრთ ტაცის ბრძოლა (გვ. 119).

როსტომ მეფე, რომელზედაც ჩემოთ ვილაპარაკეთ, იყო ჩამომავალი ბაგრატიონთ გვარისა. მას შემდეგ, რაც ანი

ქალაქი დაეცა და დაემხო, ამ სამეფო გვარეულობასაც ბოლო მოეღო თავის ქვეყანაში და მხოლოდ ზოგი-ერთნი გადარჩენილნი ამ გვარეულობისა, რომლებიც ბედმა დაჭიოგა, ივერიაში გაიხიზნენ. სპარსელებმა, რო ივერია დაიმორჩილეს, ბედმა ამ გვარეულობასაც გაუღიმა: მთელის საქართველოს მთავრობა ამ ბაგრატიონებს მიაბარეს სპარსელებმა და ეს მთავრობა მამიდგან შვილზე გადადიოდა მეფე როსტომ-ხანამდინ. ამას ჰყავდა შვილი, მარიამისაგან ნაყოლი, ლუარსაბი, რომელიც ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა მამის სურვილისამებრ. ერთ დღეს მამა და შვილი სანადიროთ ყარაიაზს წავიდნენ დიდის ამალით. გაზაფხული იყო და ცუდი ამინდები იდგა. ამ ნადირობას, როდესაც ყველანი ნადირის დევნაში იყვნენ, როგორლაც მოხდა, რო ვიღასიც ტყვია მეფის შვილს, ლუარსაბს, ჩოხვდა და ახალგაზდა ბატონი-შვილი მოჰკლა. თავზარ-დაცემული და შეშინებული მეფე თბილის გამოეშურა: ტიდათ ეცადა, მაგრამ ამაოდ, გაეგო—ვინ იყო მისი შვილის მკვლელი. მაინც შეიტანეს ორ კაცზე ეჭვი: სომეხ ბაინდურზე და ქართველ შიშუზე, ბარათაანთ გვარისაზე; ბაინდური-კი თუმანიანცების გვარის იყო. ამათ აბრალებდნენ, — ან ერთა მათგანი მკვლელი, ან და იციან სხვამ ვინ მოჰკლა, რადგან კმ დროს მხოლოდ ეს ორი კაცი იყო მოკლულის ახლოო. ქართველები სომეხს აბრალებდნენ, სომხეპი-კი ქართველსა. ბოლოს გარდასწყვიტეს, ორივე ბრძოლად გამოსულიყო და დამარცხებული მკვლელი ცნობილ ყოფილიყო. დანიშნეს დრო, მოაწყეს ყოვლისფერი, რაც საჭირო იყო; შეიმოსნენ სამხედრო სამოსლით და შეისხეს იარაღი ორივემ; დაუკოცნეს მეფეს მუხლები და გავიდნენ მტკვარს ქალაქის აღმოსავლეთით. მაგრამ გაიძვერა ქართველობამ განგებ ასეთი რჩევა მისცა. ორთავეს: საჯირითოზე რო გამოხვალთ, ერთმანერთს ნუ შეეტაკებით და ჯერ ყასიდათ მარჯვნივ და მარცხნივ გააჭინ-გამოაჭინეთ. ცხენები; იქნება მეფემ შეგიბრალოთ და შეაჩეროს თქვენი სასიკვდი-

ლო ბრძოლაო. ბაინდურმა მუკიცეთ მიიღო ეს რჩევა; ქართველებმა-კი, რომლებიც კაინის ჩამომავლობისანი არიან, შიშუშს ჩუმათ უთხრეს: შენ პრარა ტანისა ხარ, ბაინდურა კი მდევისავითაა; ვერ გაუძლებ და გაჯობებს; ამიტომ, გვერდით რომ გამოგიჭენებს, ეცდე უცტად და მოულოდნელად შუბი მიარტყო და ცხენიდამ ჩამოაგდეო. მეფემ ორთავ მებრძოლს სამ-სამი თათარი მიუჩინა, რომელთაც უბრძანა: როგორც-კი ერთი მებრძოლთაგანი ცხენიდამ ჩამოვარდეს, მყისვე მიდით და დაიფარეთო, რათა მეორემ არ მოკლასო. პირველად ბაინდურმა გამოაჭენა; ამ დროს შიშუშმა მოასწორო და მიარტყა მუცელში შუბი, რომელმაც კანსა და ხორცს შუა გაიარა გეზათ და მეორე მხრით გამოვიდა. ბაინდურმა, ამისდა მიუხედავათ, მაინც ხელიდამ გამოსტაცა შუბი თვის-მოპირდაპირეს და შუაში გადასტეხა. შიშუში გაიქცა, ბაინ-დური გამოედევნა ცხენით, დაეწია, დასცა შუბი კისერში და ცხენზე გააწვინა. მეორეთ უნდოდა დაერტყა, მაგრამ შუბი გასისხლიანებული იყო და ხელიდამ გაუსხლტა; იში-შვლა ხმალი, მაგრამ დარეტიანებული შიშუში უკვე ძირს ჩამოვარდა. ცხენიდამ მეფის-მიერ განწესებული თათრები მისცვივდნენ შიშუშს და სიკვდილს გადაარჩინეს. ბაინდურს თათრები და სომხები მიეცვივნენ დიდის ყვირილით და იღ-ტაცებით; ხელში იყვანეს და ასე წარუდგინეს მეფეს, რო-მელმაც დიდის სიამოვნებით ინახული გამარჯვებული და ექიმებს უბრძანა ჭრილობა ეწამლათ. შიშუში-კი მეორე დღესვე უნდა აეკუშათ ლუკმა-ლუკმა მეფის ბრძანებით, მა-გრამ მისმა ძმამ დაიხსნა, ჭრისტეფორე ბერმა, რომელიც დელოფლის გამდელი იყო. სიკვდილს კი გადარჩა, მაგრამ რაც რამ ჭრება ებადა: ყმები, მოსამსახურეები, სოფლები, ვენახები, — ყველა ეს წაერთვა და ბაინდურს მიეცა მეფის, ბრძანებით. ამის შემდეგ ქართველების დიდ-გულობა ცალტად მაინც დასცხა; სომხებმა-კი ამაზე ლექსებიც გამოსთქვეს, რომლებსაც ასეთი დაბოლოვება ჰქონდათ: „შიშუშ წადი,

ზაინდურ მოვიდაო“ . ქართველები წითლდებოდნენ, როცა იგონებდნენ ამის მღერას სომხის ბიჭებისგან . შაპ-აბას მეორემ, ეს ამბავი რო გაიგო, თავისთან დაიბარა ბაინდურ და თბილისის მთავრად გამოამწესა 1649 წელს.

### გათრგი მეფის განეკება (გვ. 121).

შვილის სიკედილის შემდეგ როსტომს მემკვიდრედ არა-ცინ აღარ დარჩა . ამ გარემოებამ აიძულეს ის, მოეხმო ვი-ლაც ვახტანგი ბაგრატიონთ გვარისა, და ეშვილა იგი . — ჩემს სიკედილს შემდეგ შენ გახდები მეფეთაო,— ეთქვა მისთვის . ცოტას ხნის შემდეგ როსტომ მეფე გარდაიცვალა . და მისი მემკვიდრე დიდის ამალით, რომელიც ქართველთ კეთილ-შობილ ახალგაზღობისაგან შესდგებოდა, შაპ-აბას მეორესთან წავიდა სამეფო ტახტზე ასასვლელად ნებართვის მისაღებათ . შაპ-აბასმა ამის ნება მისცა და შაპ ნავაზი უწოდა, რაიც ნიშნავს „შაპით გამეფებულსა“ . ვახტანგმა დიდს ხანს იმეფა . შაპ-აბასის შემდეგ სპარსეთის სამეფო ტახტზე მისი შვილი ავიდა, შაპ-სულეიმანი, რომელსაც ვახტანგზე ცუდი ამბების მიტანა დაუწყეს სხვებმა . რო გაიგო ეს შაპ-ნავაზმა, გარდა-სწყვიტა თავის ნებითვე წასულიყო შაპსთან, რათა დაემტკი-ცებინა თვისი მისდამი კეთილ-სინიდისიერება . მას რამდენიმე შვილი ჰყავდა: არჩილ, ვიორგი, პაატა, ბეჟან და ლევანი . თან წაიყვანა მეორე,— გიორგი . ისპაანს რო მიუახლოვდა, ვახტანგს მოახსენეს: შაპმა რო გნახოს, იმ წამსვე დაჭერილ ლომებს მიგადებსო . მეფე შეშინდა და საწამლავით თავი მოიკლა . ამ გვარად გიორგი მარტოდ წარსდგა შაპის წინაშე . სულეიმანმა მოწყალე თვალით მიიღო ეს ვახტანგის შვილი, უწყალობა მამის ტახტი და თბილისს გამოგზავნა დიდის ამ-ბის . გიორგი მეფე (მე-XI) დიდს ხანს განაცებდა ქართლს . სულეიმანის სიკედილის შემდეგ სპარსეთის ტახტზე მისი შვილი ავიდა, ჰუსეინი, რომლის დროს მოხდა გიორგი მე-

ფის აჯანყება შემდევი მიზეზით: მას ჰყავდა მეტად შშვენიერი ასული, რომელსაც სილამაზით ვერავინ შეედრებოდა. მეფემ ახალ შაპს რამდენიმე ლამაზი ქართველი ქალი გაუგზავნა საჩუქრად და ამათ დიდათ უქიათ შავსთან გიორგის ქალი; ამიტომ მეფეს ბრძანება მოუვიდა შავისაგან, ის ქალიც მისთვის გაეგზავნა. გიორგიმ უარი განაცხადა და ისიც დიდის ლანძღვით და გინებითა: „თქვე, ყიზილბაშებო. თქვენა! რას მეგართლებით, რა გინდათ ჩემგანაო? მთელი ერი ამომიწყვიტეთ, ხან სიმხეცით და ხან გაიძვერაობით; მამა თქვენგან მომიკვდა და თქვენ მიაღებინეთ ძალას თქვენი რჯული; ძმაც ხომ აქამდინ დაჭრილია თქვენს ქვეყანაში და ახლა ქალიკ გინდათ წამართვათო?“ და ამ სიტყვებს ისეთი ლანძღვა და გინება მიაყოლა შავის სახელობაზე, რომ ამ ამბის მიღებაზე დიდათ უნდა განრისხებულიყო შავი. ეს კი დევ არაფერი. საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ სპარსეთს აღუდგა. ჩუმად გაგზავნა საქართველოს შორეულ კუთხეში რაც რამ ებადა ძვირფასი და თვითონ ერთ დიდ ტყეში შეიხიზნა მეგობრებით, მომხრეებით და ჯარით. რო გაიგო შავმა ყველა ეს, გამოიწვია ირაკლი, თეიმურაზ შეფის შვილის შვილი, რომელიც იმ დროს ხომსარში (ხუნზახში?) იმყოფებოდა; დანიშნა თბილისის მთავრად ვალი-ხანის წოდებით და უბრძანა ერთად შეეგროვებინა სპარსელების ჯარი, რომელიც სხვა-და-სხვა ქალაქებში იდგა: ერევანში, ნახევანში, განჯაში, თბილისში და სხვაგანაც. ამ შეერთებულ სპარსელ ჯარით ირაკლი გიორგი მეფეს შეებრძოლა, რომელიც როგორც უკვე ვსთქვით, ტყეში იყო შესული ქართველთ ჯარით. ბრძოლამ დიდს ხანს გასტანა. დღისით ქართველი ჯარი დაბურულ და მიუდგომელ ტყეში იყო ჩასაფრებული; და მხოლოდ ღამით გამოდიოდა გარეთ და მოულოდნელად თავს ესხმოდა სპარსელთ ჯარს, რომელიც ამით ძლიერ ზარალობდა დახოცვით, თუ სურსათის აკლება-დატაცებით. ამ გვარის მში სპარსელებს ძლიერ აწუხებდა, რადგან ეს მათ-

თვის უცხო და შეუჩეველი რამ იყო; ქართველებს-კი ამ გვარი ომი ძლიერ ეხერხებოდათ და ყოველთვის ასე იქცეოდნენ, როდესაც ომში მძლავრი მტერი ჰყავდათ. სპარსელები მაინც ძლიერ აწნებდნენ საქართველოს: იკლებდნენ სოფლებს, იტაცებდნენ ქონებს, ცეცხლს უკიდებდნენ შენობებს და გაიძახდნენ: მეფე გიორგი-ხანს უამბეთ, რომ მთელი მისი ქვეყანა, ასე აოხრდებაო... ქართველებიც იკლებდნენ თავის მხრით და უთვლიდნენ ვალი-ხანს (ირაკლის): აი რას ვუშვრებით შენს ქვეყანასაო. ამ დაცემა და აკლებით ძლიერ აოხრდა და განადგურდა მუხრანი და გორი. იმავ დროს გიორგი ყოველთვის, როდესაც-კი სპარსელების შუა-კაცებს იღებდა, აცხადებდა, რო მე მტერი-კი არა ვარ შაპისა, არა-მედ მისი მსახური, მონა და ფეხთა მტვერი ვარო. აღვუდებ და აქ შევიხიზნე მისთვის, რო მოკვლას მიპირუბდაო. და ამას ისე ხშირად იმეორებდა, რო შაპმაც ბოლოს დაიჯერა ეს, მით უმეტეს, რო ამასვე არწმუნებდა განჯის ხანი აბასი, რომელიც გიორგის მეგობარი იყო. აქედამ წარმოსდგა შერიგება. შაპმა გიორგის შეგობრული წერილი მოსწერა და მასთან შესაფერი სამოსელი გამოუგზავნა — გრძელი ძვირფასი ხალათი და საუცხოვო რაშიც; იწვევდა მისულიყო მასთან უშიშრად და მოურიდებდათ. გიორგი მეფე გზას გაუდგა და მივიდა ერევანს, სადაც ცოტა მოცდის შემდეგ მიუვიდა განჯელ ხანის ამალა თან წასაყოლად; ერევნის ხანმა-კი გზის მცოდნენი მიუჩინა ამალას და დიდის პატივ-ცემით გაისტუმრა სპარსეთს. გიორგი ისპაპანს მივიდა. რო გაიგო შაპმა მისი მოახლოვება, თვისი ამალა გაგზავნა დასახვედრათ, შეუთვალა ჩამომხდარიყო ერთს მშვენიერ სამეფო სასახლეში ქ-ლაქის გარეთ და შემდეგ თავისთან მიიწვია. გიორგი წარსდგა შაპის წინ; ყელზე, თოკი ჰქონდა მობმული და გულზე ხმალი ჩამოეკიდა.

— ეს რაა, გიორგი-ხან? — ჰყითხა შაპმა.

— ლირსი ვარ სიკვდილისა, — მიუგო ქართველთ მეფემ;

შენთან მტკუნი ვარ, ამიტომ ჩამომახრჩე ამ თოკით და თავი მომჰქმდე ამ ხმლითაო.

— არა,— უთხრა შავშა, — არც ამ თოკით ჩამოგახრჩობ და არც თავს მოგკვეთ ამ ხმლით; დარჩი ჩემთან და ჩემი მრჩეველი იყავო.

დიდათ სუა პატივი გიორგის და ისე შეიყვარა, რო ყოველთვის თავისთან ჰყავდა; ახლაც იქია ამ 1697 წელს.

ვალი-ხანი (ირაკლი) თბილისს მივიდა და იწყო მტარ-ვალობა, სხვა-და-სხვა გვარს სიავის ჩადენა და ქრისტიანების. შეწუხება: აღკრძალა ზარის რეკვა, ჯვრის გამოტანა მიცვა-ლებულის გასვენებაზე და სხვ. ქართველობა და სომხობა ამ შეწუხებამ იქამდინ მიიყვანა, რო ერთს დღეს შეთქმულობა მოახდინეს: ერთად შეგროვდნენ და ვალი-ხანის კარებს მი-ადგნენ დიდის ყვირილით, ლანძღვით და დაცინვითა, ისე გაიძახოდნენ მის სასახლის წინ; შენ მამა-პაპეულ რჯულს უდალიტე, ქრისტე გადუდექ და ახლა ჩვენი გაურჯულოებაც გინდა? იქმარე ეგ ოინები, თორემ ბოლოს მოგიღებთო. ამ შემთხვევამ ძლიერ შეაშინა ვალი-ხანი, რადგან ცხადად ნახა, რო ხალხის აჯანყება პლიტი იყო და გიორგის მომ-ხრეებიც მრავლდებოდნენ; მოკვლასაც ემუქრებოდნენ. ასე მოელო ბოლო ვალი-ხანის ოინებს.

ასეთია აწინდელი დრო; როგორი იქნება მომავალი, ეს ლმერთმა იცის.

ა. კვერკველაძე.

ისცორიული და კურგაფიული აღწერა

## პერპიტისა

(შემდეგი \*).

ლოდი ქურმუხისა, რომელზედაც ფულლონს ტახტი გაეკეთა და ზედ იჯდა გაპრტყელებული, უკვე ზემოთა ვსთქვი, რომ ერთ მოზრდილ ეკლესის ადენაა. აი ზედ ამ ლოდზე ყოფილა აშენებული ეკლესია, ხალხის გაღმოცემით, წმინდა გიორგისა. ის დაურღვევია მტერს სრულიად; მისი დიდ-დიდი ნანგრევები აწ ლოდის გარშემო ჰყრია. მაგრამ თვით ლოდი მაინც ისეთი მაღალია, რომ გადაჰყურებს მთელს ნუხის მაზრას, ზაქათალის ოლქას და კახეთს. ამბობენ ეს ლოდი გამოჭრილია და შიგ ხატები არისო; მაგრამ კარები წმ. გიორგის ისრე დაუხურავს, რომ აღარა სჩანსო. წელი-წალში ერთხელ, აღდგომის ღამეს, ღვთის-მშობელი აღებს ამ კარებს, გამოდის გარეთ და ოქროს სავარცხლით წიწილებს ივარცხნისო. ამავე დროს გამოფრინავს შიგნიდამ გარეთ ოქროს მამალი, შუაღამე რომ მოატანს, ის სამჯერ ყივის და მერმე გარშემო სოფლებშიაც მამლები იწყებენ ყივილს. როდესლაც ერთ აღდგომის ღამეს ჩვეულებისამებრ კიდევ გამოსულა ეკლესიიდამ ღვთის-მშობელი და უვარცხნია თავი; დაუნახავს ვიღაცა თათარს. მიჰპარვია და დაჭერა სდომებია. დაუნახავს მარიამ დედას (ასე ეძახიან ინგილოები ღვთის-მშობელს), ამდგარა და შესულა კარებში. თათარს

\*) აბ. „მოგზაური“ 1902 წ. № 3.

ხელი გაუწივდია მისკენ დასაცერად, მაგრამ მკლავი გაჰშეშებია, ხოლო კარები ისე მაგრად მიხურულა და კედელზე ისე შედუღებულა, რომ სრულიად აღარ ეტყობა, საღა ყოფილა ის. თათარი შეშინებულა. შეჰველრებია ეკლესიას, მკლავი გაჰმთელებია და მერმე თვითონაც გაქრისტიანებულა. არის კიდევ ერთი სხვა მოთხრობა. ვიღაცა დიდებულს თათარს მოსწონებია ქურმუხის ეკლესიის მღვდლის ხუციშვილის ქალი. ეს მღვდელი მდგარა ს. კაკში. მოსულა მასთან თათარი და უთხოვნია. მღვდელს არა სდომებია მიცემა, მაგრამ შემით უარიც ვერ უთქვამს, ხოლო დაუდვია მისთვის პირობა: „თუ ეკლესიაზე ქურმუხის მღინარიდამ რუვით წყალს გაიყვან, მოგცემო. მღვდელს ჰვინებია, რომ თათარი წყალს ვერ გაიყვანს და მეც ქალს არ მივცემო. მაგრამ პირობა თითქმის შეუსრულებია თათარს: ცოტადა საქმე ჰქონია რუვის გათხრის დასრულებას. მღვდელს შეჰშინებია, დანალვლებულა: „ასული ჩემი ქრისტიანია და თათარს როგორ უნდა მივათხოვოთ“. როცა ის ასრე დადარღიანებული ყოფილა, მასთან მისულა ერთი ბებერი დედაკაცი და უთქვამს: „მე ისრე მოვახერხებ, რომ თათარმა თავისი თავი თვითონვე მოიკლის თავისის ხელით. მე ვიცი იმას ძალიან უყვარს შენი ქალი. თუ შეიტყო მისი (ქილისა) სიკედილი, უთუოდ ისიც თავს მოიკლავსო. რომ სე მოვახერხოთ, შენ გრძანება გაეცი, რომ მემცხვარებმა და მეძროხებმა სამს დღეს ბატკნები და ხბორები თავიანთ დედებს დაუმალონ; თქვენ ქალსაც გარეთ ნულარ გამოუშვებთ; სახლშიაც უბრძანეთ, რომ ლავაშების გამოცხობა იწყონ“. (ინგილოებმა მკვდრისთვის ლავაშების ცხობა იციან). მოძღვარს აღუსრულებია ბებრის თხოვნა. მესამე დღეს ბებერსაც გამოუხვევია ლავაშებში ხორცი და წასულა თათართან, რომელიც მთის ფერდობზე მუშაობდა და იქიდგან მოჩანდა მღვდლის სახლიცა და ეზოც. თათარი წთხრიდა არხს და თანაც იყურებოდა დანიშნულისაკენ, ეს უკანასკნელიც თავის საქმოსაკენ იცქირებოდა.

ორივენი ჰხედავდნენ ერთმანერთს, მაგრამ ერთი ქურმუხის მდინარის აქეთ ნაპირზე იყო, მეორე იქით, და ისე შორს იყვნენ ერთმანერთზე, რომ არ შეეძლოთ ურთიერთ შორის ლაპარაკი. როცა ბებერი გამგზავრებულა; მაშინ გაუშვიათ დამწყვდეული მშიერი ბატკნები და ხბორები, რიყეზე განგებ შეჩერებულ ცხვრის ფარაში და ძროხაში. ატეხილა ერთი ურიამული ცხვრისა, ბატკნებისა, ხბორებისა და ძროხისა; ამ დროს ხალხიც შექუჩებულა მოძღვრის ეზოში; ბებერიც მისულა თათართან. გაოცებულს თათარს უკითხავს: „ეს რა ამავია, რა ხმაურობა და ურიამულია, და ხალხი რას ირევა. ხუცესის ეზოშიო“. ბებერს უპასუხნია: „შენ ბედშავო და თვალდამდგარო, არ იცი რა საცოდაობა მოხდა? შენი ახალგაზდა კოკორი, მშვენიერი შენი დანიშნული, შენის სიყვარულით ავად გახდა სამს დღეს და აი დღეს გარდაიცვალა. მის საცოდაობით ცხვრები და ბატკნებიც კი ატირდნენ; ძროხაც ბლავილს მოჰყევა. პირუტყვსაც შეებრალა შენი უდროოთ გარდაცვლილი დანიშნული, რომელსაც გაგიჟებით უყვარდი შენა, და ამისათვის დღე და ღამე შენს ფიქრში იყო, ავად გახდა და დღეს შენი ჭირი წაილო და ხალხიც ამის გამო ირევა მოძღვრის ეზოში“. ყველანი სამძიმარზე მოსულან. ბედკრულს თათარს თავს ზარი დაეცა: „როგორ თუ ჩემი ჭირი წაილო ჩემმა დანიშნულმაო! — ასრე წამოილრიალა, მწარედ ატირდა, და უნუგეშომ, ისროლა მაღლა ჰაერში დიდი წერაქვი, მიუშეირა თავი, მოჰხვდა კეფაში და იქვე უსულოდ დაეცა. თათარი მოკვდა. დამარხეს მის-მიერ გათხრილ რუვის პირას მთის ფერდობზე. ამაზე ინაღვლა ჭალმა, დასწეულდა და მესამე დღეს ისიც მოკვდა. ამისი საფლავიც გასჭრეს იქ, საცა მისი საქმრო დაასაფლავეს, მაგრამ ბებრისათვის ალაგი დასტოვა. ხალხშა. არ გასულა დიდი ხანი წყეული ბებერიც მოკვდა. მიიტანეს ისიც და ჩაფლეს მიწაში ორ დანიშნულთა სამარეებს შუა. ვაუზე ამოვიდა თეთრი ვარდი, ჭალზე წითელი, ხოლო ბებერზე ძეძვის

ეკალი. ვარდები იზრდებიან და როცა ყვავილებს მოისხამენ და ელტვიან შეერთებას, მაშინ ბებრის სამარის ეკალი იზრდება შუაში და არ უშვებს, რომ თეთრი ვარდი და წითელი ვარდი ერთმანერთს გადაეხვივნენ და ჩაეკონენ.

ეს ხალხის გადმოცემა მართალია თუ ტყუილი, ეს მკითხველმა თვითონ გაარჩიოს, ხოლო მე კი იმას ვიტყვი, რომ დაუსრულებელი რუვი ქურმუხის ეკლესიის მთის ფერდობები ეხლაც ეტყობა, თუმცა ტყის ფოთლით არის ამოვსებული. ხალხი საძარებებსა და ვარდებსაც გვიჩვენებს.

ქურმუხზე ახლა სხვა ეკლესია არის აშენებული. ის დასრულდა 1894 წელს. მასალა და ნახევარი ფული ხალხმა მისცა ასაშენებლად, ნახევარი ქრისტიანობის აღმაღვინებელ საზოგადოებამ. მშვენიერი გუმბათიანი ეკლესია. ხალხი დღესასწაულობს მის დღეობას 10 ნოემბერს. ამ დღეს მოდიან სალოცავად ყველა ქრისტიანი ინგილოები და კომლზე ერთი თოხლი ანუ ჭედილა იკვლის, რასაც აქვე ჰხარშავენ და სჭამენ, დანარჩენი შან მიაქვთ. ამ დღეს მოდიან მრავალნი მოუნათლავნი ინგილოებიც და აგრეთვე თათრებიც. ჭიზიყიდამა და კახეთითაც მლოცავნი არ აკლიან ეკლესიას თავის დღეობაზე. ნუხიდამ, ზაქათალიდამ და სილნაღიდამ ცოლშვილიანად ესტუმრებიან ხოლმე ეკლესიას სომეხნიც, და აგრეთვე თითო-ორთოლა რუსნიც ზაქათალიდამ. დღეობას გარდა სხვა დროსაც არ აკლია ეკლესიას მლოცავნი. შემოსავალი უწინ ამ მხრის შეკოლებზე იხარჯებოდა, ახლა-კი ფული ეკლესიას რჩება. გარდა ამისა, წინათ ყველა ინგილოთა სამრევლო მღვდელნი უკურთხებდნენ ეკლესიაზე დღეობაში თავის მრევლს საღმრთოებს, უხდიდნენ პარაკლისებსს და სხვა-და-სხვა წესს უსრულებდნენ, მაგრამ 1897 წელს საინგილოს ბლ. ირ. ოქროპირიძემ აუკრძალა სხვა მღვდლებს საღმრთო მოქმედება დღეობაში და მარტო დაისაკუთრა ყოველივე შემოსავალი.

უწინ მას დიდი მამულები ჰქონია, ახლა აღარც ისა

აქვს, გარდა 100 დღიურისოდენი ტყისა, რომელიც კაცელებში უჩვენეს ხაზინას და მთავრობამაც მიუწოდა ეკლესიას - მისიონერის ტარასი ივანიცის მეცადინეობით.

წმ. გიორგის ეკლესიდამ ნუხის მიჯნამდე (აღმოსავლეთისაკენ) 5 ვერსი მანძილია: მიჯნად იცნობება „ყანნი-ყობი“ (სისხლის ხევი), რომელშიაც გავლა უწინ საშიში ყოფილა და ბევრი ადამიანის სისხლი დაღვრილა, რის გამო სახელიც შესაფერი დაპრქმევია.

ქურმუხის ეკლესიდგან კარგად მოჩანს ძელებური „შაჟიხის“ ველი და მთის ძირში, არა ერთხელ ხსენებული საეკლესიო გუჯრებში და სიგელებში, სოფ. ზემო და ქვემო-განუხი (თათრულად „გოინუქ“); აგრეთვე ველზე, აგრი-ჩაის შახ ჯობლად საეკლესიო სოფელი განლოტი (აწ თანლითი): მაგრამ კაკიდგან მიმავალს შეზავრს ჰევდება წინ პირველად თათრის სოფელი ბაჭყალი. აქ უწინ ყოფილა ქართველთა სოფელი და აწ აოხრებულია იგიცა და ეკლესიაც. იქაური მინდვრები, ზემო და ქვემო განუხისა, ყაშხაჩისა (ლეკის სოფელია), ამბარჩაისა და ბილაჯიგისა მთლად ქურმუხის ეკლესიის მამულები ყოფილან. ს. ბაჟყალში ჰქონიათ გიშელ-ქურმუხელთ მთავარ-ეპისკოპოსებს ზერები. 1616 წელს ისინი და მიწები ჩამოურთმევია შააბაზს ეკლესიისათვის და მიუცია სპარსეთიდამ თან მოყოლილ მუსულმან ახუნდისათვის (უდრის ეპისკოპოზს), რომელსაც სახელად ბაბა ჰრქმევია და წოდება ბაჟყალი-ც ამ სახელიდგან წარმომდგარა. ამ ბაბას შთამამავალნი ახლაც არიან. ამათ აქვთ სიგელი სპარსულ ენაზე შააბაზისაგან მიცემული. რომელშიაც თურმესწერია, რომ ზემოხსენებული საეკლესიო მამულები შააბაზმა, ჩამოართო ქურ. წმ. გიორგის, მისუა ბაბა ახუნდს და სიგელით დაუმტკიცა. ასრე ამბობენ თვითონ ახუნდის ჩამომავალნი, რომელნიც ხალხისაგან ცალკე სცხოვრებენ და ირიცხებიან სასულიერო წოდების პირად და შეიხებად.

ამ ბაჟყალს ზემოთ, აღმოსავლეთის მხარეს, კავკასიის

შთის ძირას, მდებარებს ძველებური ქართველთ სოფელი ზემო-განუხი (თათრულად ბაშ-გონიუქ); არის ქვემო-განუხიც. უკანასკნელი გაშენებულია ზემო-განუხის მცხოვრებთაგან. აქა სკეოვრებს 2663 გათათრებული ქართველი. ორივე მოხსენებულია საეკლესიო სიგელებში და გუჯრებში და ეკუთვნოდნენ საკათალიკოზო ეკლესიას მცხეთას. (იხ. I ნაწ. ქრონიკ. უორდ. 197, 419). აქ ყოფილა ეკლესია, აშენებული შეფის არჩილ მოწამის სახელობაზე. იმას იხსენიებს 1310 წელს ქურმუხის ეკლესიის მთავარ-ეპისკოპოზი კირილე დონაური (თავ. ვაჩნაძე). ექვს გარეშეა, რომ ზემო-განუხს დიდი სახელი ჰქონია საქართველოს ისტორიაში. მე-XII საუკ. იქ იდგა თავის ჯარებით საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელი (იხ. ქ.-ცხ. გვ. 247). აქედგან გზავნიდა ის თავის ჯარებს შირვანის სახანოს დასაპყრობად და აქედგანვე ებრძოდა ის გიშის თავადებს ასათს და ასამს. მან დაიპყრო გიში 1225 წელს. ამის შემდეგ მეფეებს დიდათ უყვარდათ განუხი და საზოგადოთ ხეობა შაკიხი, საცა ხსენებული სოფელი იყო. როგორც ეტყობა მეფეებს ჰქონდათ შაკიხში სანადი. რო ტყეები და მინდვრები, რომელთა შინა აწცა მრავალია ნადირი და ხოხობი. მე-XII საუკუნეში აქ მოიყვანეს ქართველთ დიდებულებმა სანადიროდ ერთი ვილაცა პრინცი, რომელიც მოსულიყო საქართველოში თამარ მეფის შესართავად; მაგრამ თამარმა შორს დაიჭირა მისგან თავისი თავი და რომ არ აწყენინოს, გამოასეირნეს ქართველებმა ამ მხარეს სანადიროდ. ეს ამბავი მოხდა მაისში. ამ დროს ს. განუხში იყო ეკლესიის დღეობა, რომელსაც ერქვა „განუხობა“. სასიძოდ მოსული სტუმარი დაესწრო დღეობას. მას თან ახლდნენ მრავალნი წარჩინებულნი. ქართველნი. როცა გამობრუნდნენ, ნადირობა დაიწყეს ტყეებში და მოფილნენ ქალაქ თბილისში. შერთეს პრინცს თამარის უკანონო და, „ხარჭისაგან ნაშობი გიორგი მეფის ასული“. ამ შემთხვევისა გამო მემატიანე ასრე ოხუნჯობს: „საულ მეფემ კარაულის

ძებნაში მეფობა იშოვა, ხოლო თამარის მძებნელმა ვირი იპოვა” (იხ. ქ.-ცხ. გვ. 290). რომ განუხის მხარეს მეფეებს ნადირობა სცოდნიათ, ამას ამტკიცებს მეფე თეიმურაზიცა. იმას ნადირობა ჰქონია კაკის საბოქაულოში კულმუხელებთან (კაკელებთან) ერთად და აგრეთვე „განუხშიდა“ (იხ. არჩილიანი გვ. 60 და 61). ის იქნებს კიდეც შაკის, როგორც სანადირო ადგილს. აქედგან ცხადია, რო განუხი მე-XVI საუკუნეში ისევ საქართველოს ეკუთვნოდა. მეფეს აქა ჰყვანდა თავისი მამასახლისი თ. ოტია ჯანდიერიშვილი. მაშასადამე, მის დროს განუხელები ისევ ქრისტიანები იყვნენ და ქართველობდნენ; მაგრამ ამის შემდეგ გამუსულმანებულან შააბაზის მძლავრობით. ამ სოფელში აწ სცხოვრებს 5084 სული. მათ შორის არ არის არც ერთი ქრისტიანი. ყველანი გადაურჯულებულან, დაუვიწყნიათ ქართული ენა და გადაჯილაგებულან თათრად. ამ უამარ ნამდვილად იმათზე ითქმის, რომ გამხდარან იანიჩრებად. არიან მძვინვარე მუსულმანთა ფანატიკოსები და ქურდ-ავაზაკნი. ისინი არიან შესანიშნავნი მტაცებლობით. იმათ მიერ სტირის მთელი ზაქათალის ოლქა. აქ იპარავენ და იტაცებენ საქონელს, მიჰყავთ განუხს (ბაშ-გოინუქს) და მერე უკანვე პატრონებს უბრუნებენ, მისყიდვით და იმ ფასად, რამდენათაც საქონელი ღირს. ადგილობრივი პოლიცია ბევრს მეცადინეობს მათს მოქცევას და დაწყნარებას, მაგრამ მათი მოქცევა და ალაგმვა მაინც ვერ შესძლო აქამდე. ისინი აშეარად ქურდობენ და მტაცებლობენ. მათ გვერდით არის კიდევ ქართველთა 2 სოფელი: აშაგა-შაბალუთ, იუსარი-შაბალუთ (ქვემო და ზემო წაბლოვანი). ორივეში 1024 გამაჭმადიანებული ქართველია. განუხის აღმოსავლეთ მხარეს, აგრეთვე მთის ძირის, მდებარებს, ნუხის მახლობლად, ს. კას-მისი. „კოხი“ — ინგილოურად ჰქვიან რიყის ოთხ-ხუთ გირვანქიან ქვას; ხოლო „მოხი“ მომეტებული სიტყვის ნაკვთია და წარმომდგარია იმ კანონით, როგორც მაგალითად „წვრილ-მრალი“, „რამე-რუმე“, „ბიჭ-ბუჭები“ და სხვ. თათრულს ენაზე

არაფერი მნიშვნელობა არა აქვს. აქედგან ცხადია, რომ ს. კოხ-მოხი უწინ ქართველებისა ყოფილა და ახლა თათრებს უჭირავთ, ხოლო ქართველები თათრებად გადახალისებულან. თვითონ თათრები ამბობენ, რომ უწინ კოხ-მოხი ქართველების სოფელი იყოო. ვგონებ, ეს ასეც ყოფილა. ამ რწმუნებას ვაფუნდნებ იმ გადმონაცემზე, რომელსაც თათრები მოუთხოვდენ: „უწინ კოხ-მოხს წყალი არა ჰქონიაო, — ამბობენ ისინი, — მაგრამ თამარ დელოფალს ის გამოუყვანია არხით ქიშის მდინარიდგანაო“. შესანიშნავია ეს არხი. კავკასიის მთის ფერდობზე: შორიდგან, ოხის ვერსის სიგრძეზე, გიშის მდინარიდგან, კოხ-მოხის წყალი გამოყვანილია არხით და ისრე ხერხიანად. ცოდნით და აწონ-დაწონვით გაღმოტარებულია აღმართებზე, ლელეებში და ფერდობებზე და მიუვანილია კოხ-მოხში, რომ ახლაც გაუჭირდებათ ინჟინერებს ამისთანა არხის გათხრა კლდე-ლელე-ყურეში, ასგან წყლის აქა-იქ ფერდობებზე გადახტუნება, დაკლაკენა, აბრუნ-დაბრუნება და შეგუბება აქა-იქ ლელეებში, ყველას უკვირს კოხ-მოხის არხის კალაპოტის მიმართულება და მასში წყლის მიმდინარეობა. დღეს ამ წყლით არის სოფელი კოხ-მოხი სულდგმული. ის გადატარებულია სოფლის თავზე, და მითი მორი-წყვის სოფლის შესანიშნავი ლელეის ბალები.

აწ სოფელს კოხ-მოხში სკხოვრებენ თათრები, და შიგ სოფელში არ მოიპოება ქრისტიანული ნაშთი. მაგრამ მის თავში, ერთს მშენიერს ფერდობზე, ყოფილა ეკლესია. ამ ალაგს ეძახიან თათრები „ტუფთეფა“ (ყვავილთა კორდი). ამბობენ ამ ეკლესიაში ერთმა მემცხვარემ ოქროს ხაზინა იპოვაო. ერთი ნუხელი სომეხი მარწმუნებდა (1889 წელს), რომ რამდენიმე ცალი ამ ხაზინის ოქროსი ჩემს სიდედრსაცა ჰქონდაო. ვინ, იცის იქნება მარტოალიც იყოს. მოსე კალანკარები, ისტორიკოსი ალვანისა, სწერს, რომ ალბანიის მთავარს ჯუანშერს ჰქონდა თავარებელი ოქრო და ვერცხლით (გვ. 162).

ეკლესია აწ დანგრეულია. ის მე ენახე 1889 წელს. აქედგან კარგად მოჩანს გიშელ-ქურმუხელ მთავარ-ეპისკო-პოზთა საკათედრო ეკლესია ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლი-სა; სჩანს აგრეთვე სოფელი დოდი და ალაზნის ველი.

დოდი პატარა სოფელია თათრებისა და ზედ ნუხის ქა-ლაქზეა მიკერებული. „დოდი“, ვგონებ წარმომდგარა სახე-ლიდგან „დოდო“. დოდო ქართველთა წმინდანია. იგი ყო-ფილა წმ. დავით გარესჯელის მოწაფე. ალბათ ამ წმ. დო-დოს სახელზე ყოფილა დოდიში აშენებული მონასტერი, რისა გამო მას სახელად ჰრქმევია „დოდო“, მაგრამ თათრები თავისებურად გამოსთხვამენ ამ წოდებას. წწ ეკლესიები დან-გრეულნი არიან. ეტყობა, მის გარშემო ყოფილა მრავლად სენაკები. ვინ და როდის ალაოხრა ეს მონასტერი, არავინ იცის. აწ მის არე-მარეში ქართველობა ალარ სცხოვრებს და ყოველივე აოხრებულა, მოშლილა, დარღვეულა, დაფუშულა და განადგურებულა.

„გულ-თეფას“ ეკლესია და მონასტერი დოდისა ანუ დოდოსი და აგრეთვე ეკლესია გიშისა ერთმანერთს შეჰყუ-რებენ. ისინი არიან აშენებულნი გიშის მდინარის ნაპირებზე, მარცხნივ და მარჯვნივ, რომელსაც გიშის მდინარის ხეობა ჰქვიან. ესენი სამივენი თითქმის ქალაქს ნუხს ეკუთვნიან, და ნუხს დაჲყურებენ. ამათში ყველაზე უფრო შესანიშნავია გიშის ეკლესია. ეს იყო გიშელ-ქურმუხელ მთავარ-ეპისკო-პოსთა საკათედრო ეკლესია. იმათ ეპარქიას შეაღვენდა ნუხის მაზრა და ზაქათალის ოლქა—საინგილო. ვიდრე მონგოლები დაიჲყრობდნენ ჰერეთს მე-XIII საუკუნეში, სასულიერო მთავრობა მუდამ გიშში ცხოვრებდა, მაგრამ შემდეგ ამ მხა-რეში მონგოლები დასახლდნენ და გაძლიერდნენ, ხოლო ქართველობა შესუსტდა. მაშინ მთავარ-ეპისკოპოზაც თვისი კათედრა გადმოუტანიათ სოფ. კაჭი, ქურმუხის წმინდა გი-ორგის ეკლესიაზე, რისა გამო ისინი იწოდებოდნენ ხან გიშელ-ქურმუხელ მთავარ-ეპისკოპოზად, ხან ქურმუხელ-

გიშელად. იმათ დიდი თვალ-ყური ეჭირათ აქაურს ქრისტიანებზე და ეკლესიის მდგომარეობაზე, რაღაც ნუხისა და არეზის ანუ აღტაშის მაზრები საფარნი იყვნენ კახეთის სამეფოსი. თუმცა ნუხის მაზრაში აღმოსავლეთ-სამხრეთისაკენ მუსულმანობა გაძლიერებული იყო, გიში მაინც კახეთის სამეფოს ეკუთვნოდა და გიშის მცხოვრებნი მართლ-მაღიდებელ სარწმუნოებას აღიარებდნენ მე-XV საუკუნემდე. მთავარ-ეპისკოპოზი კირილე დონაური 1310 წელს ასახელებს 18 მთავარ-ეპისკოპოზს, რომელნიც მწყსიდნენ ნუხის მაზრას, კაკ-ელისენს, წუქეთს, კავკასიის მთის ჩრდილოეთ მხარეს: ავარიას, აზტის, წახურს და სხვ. 3. იოსელიანის სიტყვით გიშის ეპარქია გაუხსნია ვახტანგ-გორგასლანს მე-V საუკუნის დამლევს. მას იხსენიებს მე-VIII საუკუნეში არჩილ მეფე, როცა ადგენს ეპისკოპოზთა სიას, რა რიგზე და წესზე უნდა ისხდნენ ისინი მეფეთა დაგვირგვინების დროს. ამ სიაში ეპარქიის მთავარ-ეპისკოპოზი ხსენებულია მხოლოდ „გიშელად“, მას იხსენიებს 1723 წელს გეოგრაფი ვახუშტია; მაგრამ მის დროს გიშის ეპარქია გაუქმებული ყოფილა. მეფე ერეკლე და ანტონ კათალიკოზი პირველი, როცა ადგენენ სიას, რა წესზე და რიგზე უნდა ისხდნენ მთავარ-ეპისკოპოზნი მეფის დაგვირგვინების დროს ძველებურ წესისამებრ, სხვათა შორის სწერენ: „უკეთუ აღესმე კიდევ აღდგენილ იქმნას გიშის კათედრა, მაშინ გიშელ მთავარ-ეპისკოპოზმა დაიჭიროს ის ადგილი, რომელიც მას ეკუთვნოდა ძველის-ძველადგანვე (იხ. ცე. ერთ. ურცელ.).

თავისუფალ ჯანმცილი.

(უმდეგი იქნება).

3683260 I

კათალიკულს-პატრიარქი საქართველოს

(စု. ဗျာရလာနာရေးစံ \*).

1752 წ. ანტონმა დაასრულა თვისი კრცხვლი თხზულება „მზა-მეტყველება“, რომელშიაც არის მონაფიზიტურის სწავლის წინააღმდეგნი აზრი მოყვანილი. ამ თხზულებიდან სხანს ანტონის მეცნიერებისადმი სიყვარული, შორს-გამჭვრელობა, ყველა ეკლესის მწყემსს შეეძლო მხოლოდ ამ თხზულებაში მზა სიტყვა, მზა მიგება ეპოვა მონაფიზიტყლებთან გასამკლავებად.

ეს თხზულება განიყოფება სამს წიგნად. პირველს წიგნ-ში ნათქვამია საზოგადოდ მწვალებლობაზედ და კერძოთ ფი-ლოსოფიურათ, ღვთისმეტყველური და ღოღმატიური გაბა-თილება ნესტორის მწვალებლობისა, რომლითანაც წარმო-სდგა მონოფიზიტობა. მეორე წიგნში მოთავსებულია ვრცე-ლი ისტორია ევტიჩინებისა და განსაკუთრებით დიოსკორისა, ალექსანდრიელი პაპის უსჯულოებათა და შემდეგ ისტორია სომხითის მწვალებლობის აღორძინებისა; იქვე განმარტებუ-ლი უმთავრესი სადაც კითხვები საღვთო წერილიდან ქალ-კიდონის კრების აპოლოლით და მისი უმთავრესი მოღვაწეებისა: წმ. ფლაბიანესი და პაპა ლომისა მათის ტპისტოლეებით, რომელნიც არიან განხილული ვრცლად და ყოველ მხრიც-მესამე წიგნი შეიცავს ორ მესამედზედ მეტს მრთელის თხზუ-ლებისას და წარმოადგენს ფილოსოფიურს (სხოლასტიკის

\*) oč. მოგზაური № 2.

მხრივ) ღვთის-მეტყველურ და ისტორიულს ანალიზსა და მონოფიზიტთა ძირითად მოძღვრებათა გაბათილებასა: საშებაზე, ბუნებითზე (естественному) და პიროვნებაზედ, არსებაზედ, ბუნებაზე (природе) და იპოსტასზედ, ერთს შედგენილს ბუნებაზედ ქრისტესში. როდესაც იგი ამ კითხვებს არჩევს, მოჰყავს-მას სხვა-და-სხვა სომხის კათალიკოსების მოძღვრებანი, სომხის ეკლესის დადგენილებანი და სომხის მწერლები, რომელთაც უთანხმოებას სწამებს კათალიკოსი; ქალკედონის კრებამდე საღვთო წერილი და ისტორია მათ თავისებურად უსმოდათ. აქედამ სჩანს, რომ სომხის ეკკლესიაში არ არის ერთი განსაზღვრული სწავლა, რომ ზოგიერთი მწერლები მონოფიზიტის სწავლის მომხრენი არიან, ზოგი უარს ჰყოფენ ქალკედონის კრებასა, მრავალი, თითქმის  $\frac{1}{3}$  სომხეთის კათალიკოსი არ განირჩევიან მართლ-მადიდებლობისაგან, ზოგს მათგანს საშუალო ალაგი უკავია მათ შორის. ანტონმა ნახა, რომ სომხები ასწავლიდნენ, ვითომც ორი ბუნება ქრისტესში გადაიქცა ერთად შემდეგ. შეერთებისა და ამაზედაც დასწერა მან სიტყვა. მესამე წიგნის უკანასკნელს თავებში ანტონი სწერს მართლ-მადიდებელ მოძღვრებას შესახებ ორის ბუნებისა იქსო ქრისტესში, განმარტებს სადაცო კითხვებს წმ. კირილე ალექსანდრიელის თხზულებიდან ორს მოქმედებაზედ და ორს ნებაზედ იქსო ქრისტესში და, უკანასკნელ ამბობს ქრისტეს ღვთიურის სხეულის უხრწელობაზედ. ანტონმა არ დასტოვა უყურადლებოდ ზემოხსენებული თხზულებაც სომხის კათალიკოსის ლაზარესი („ნანატრი სამოთხე“) და უარ ჰყო იგი. \*)

ამ ბრძოლის გამო სომხის პროპაგანდისტებთან, ანტონი დაუახლოვდა ლათინთა პატრებსა, რომელთაც მიაწოდეს მას ამ ბრძოლისათვის საჭირო შასალები. ამასთანავე ლათინთა

\*) ეს თხზულება თუმცა ძრიგდ მნიშვნელოვანი. იურ სომხებისათვის, მაგრამ ის ასე რიგად თე უფიციალურ გაფრცელებული შათში.

ბერები იყვნენ საჭირო მისთვის, რადგან მათ შეეძლოთ ხელ-მძღვანელობა გაეწიათ ანტონისათვის საქართველოში სასწავ-ლებლების დაარსების საქმეში სხოლასტიკურ სკოლების გე-მოზედ. ხშირად იგი თვითონ ინახულებდა ხოლმე მათ და ჰქონდა მათთან საუბარი, მათთან აგზავნიდა თვისს მედავით-ნეს ტიმონს, ბერობაში ტრიფილს, რომელმაც ბევრი ილვაწა სამწერლო ასპარეზზედ და შემდეგ დაინიშნა ანტონის-მიერ დაარსებულის დიკასტერიის მდინად<sup>1)</sup>. ეს ტრიფილლი ხში-რად ასე ეუბნებოდა მათ: „რამდენჯერ ვყოფილვარ აქ ან-ტონის პატრიარქობაში და რამდენი სასიამოვნო დღეები გამიტარებია მე აქ პატრებთან, რომელნიც უხვად მასპინ-ძლობდნენ ხილით და მურაბით“<sup>2)</sup>. მოხერხებული მისიონე-რები თან-და-თან იყოლიებდნენ, გადაჰყავდათ კათოლიკთა საჩწმუნოებაში. ამასთანავე პატრები ამტკიცებდნენ, რომ თითქო ფლორენტინის კრება მსოფლიო კრება ყოფილიყო; ისინი აღვნენ ცნობებს ამ კრების შესახებ. ამისთანა ხრისტიანულ ღვთის-მეტყველებასთან ლათინურის წყაროე-ბიდან, გაძლიერებულ კათოლიკთა ეკკლესიას, რომელსაც ქრისტიანობის განათლების დროშა მაღლა ეკავა და რომელ-მაც გამოზარდა მრავალი ნასწავლი მისიონერები, შეეძლო შეეცდინა ცნობის-მოყვარე კათალიკოსი. კათალიკოსის ფი-ქრი იყო საქართველოში სკოლები გაემრავლებია და განა-თლება შეეტანა ყველგან იმ მხარეში.

ანტონს დღე და დღე ეტყვობოდა რყევა თვისს სარ-წმუნოებაში. ის დააჯერეს ფრანგებმა ფლორენტინის უნიის კანონიერებაში. ეს მოხდა 1754 წ. შესანიშნავი ის არის,

<sup>1)</sup> საებბლესით გუჯრები დ. ფურცელაძისა, გვ. 42; ქრებული ჭრითული სიგელებისა, გვ. 416, 538.

<sup>2)</sup> ქრებული სელთნაწერის აქტებისა, გვ. 472.

რომ ანტონშა „მზამეტყველების“ დასრულების შემდეგ 1752 წ. განაცხადა: „დასრულდა წიგნი ესე მეფობასა იმპერატრიცა ელისაბედ ასულისასა რუსეთში, იმერეთში მეფის სოლომონ ალექსანდრეს ძისა, რომში პაპის ბენედიქტე VIII დროს, აფხაზეთში პესარიონ კათალიკოსის დროს და სხვ.“ ანტონშა რაღამც თვისი სარწმუნოება გასცვალა რომის ეპკლესიის სარწმუნოებაზედ, ამისათვის ის დაუკავშირდა პაპი ბენედიქტე VIII, რომელმაც სიხარულით იწყო ამ დროიდან მიწერ-მოწერა მასთან საიდუმლოდ. ჩვენ არ ვუწყით, რას შეიცავდა ეს მიწერ-მოწერა, რაღგან ეს წერილები ჯერ არ არის შეკრებილი და დაცული, თუმცა ამ 25 წლის წინეთის წერილები ნახული იყო<sup>3)</sup> და აგრეთვე იმ კრების განჩინება, რომლითაც მტკიცდებოდა 18 თვე ანტონის რომის სარწმუნოებაში ყოფნა, უეპელად ამ წერილებზედ იყო დაფუძნებული. უკეთუ ანტონი 18 თვე იმყოფებოდა შემცდარი და რომის სარწმუნოების აღმსარებელი, მაშასადამე, მისგან უნის მიღება იქნებოდა ივნისს 1754 წ. დ. ფურცელაძე, რომელსაც ჰქონდა წაკითხული ეს წერილები, ამტკიცებს, რომ ანტონიმ მიიღო უნია ტფილისელ პატრების სახლში. ამ ამბის გამგები იყო მეფის მოძღვარი, დეკანოზი ზაქარია გაბაშვილი, რომელიც ვერ მიხვდა ჯერ ჭიდევ რაში იყო საქმე. კათალიკოსი იმის დანახვაზედ კარებს მოეფარა

<sup>3)</sup> დ. ფურცელაძემ გადმოგვცა ჩვენ როგორ შეიძინა მას კერძო ბირებისაგან ეს ანტონის წერილები, შეკრებილი ანტონის მთაწაფის არქიმანდრიტის ისტორიასაგან, რომლიდგანაც მტკიცდებოდა ნამდვილად მისი (ანტონის-მიერ) შართლ-მადიდებლობისადმი გულიცივობა. ეს წიგნი ეთხავებია მას გენარლის დ. ეივინისათვის, რომელსაც გადაეცა ის ტფილისის ხოტარიუსის ეივინისათვის. ამ გადაცემ-გადმოცემაში ეს ძეინივარი ნაშთი ვინ იცის საუკუნედ დაიგარება და ამ ნაირად უგელა სიძეებე ამისთანა შირბაში იღუპდა და სამუდამოდ ისპირა.

და იქ დაიმალა. ეს შემთხვევა გაახსენა . გაბაშვილმა მეფე თემიურაზ II, რომელიც არ იყო ამაში პირველად დაჯერებული, შემდეგში კი ისიც საცნაურ იქმნა თვით კათალიკოსისაგან, თუმცა მასი გადარჯულება ჯერ საიდუმლოდ იყო.

გახდა რა კათალიკოსი საიდუმლო უნიატი, მან ფრანგების ბერების შემწეობით მიჰყო ხელი უნის, პროპაგანდის გავრცელებასა სამღვდელოებაში და ერის კაცებში; ამ შემთხვევაში ის ძლიერ სიფრთხილით იქცეოდა. მისმა მოქმედებამ მწარე ნაყოფი გამოიღო, კათალიკოსთან დაახლოებული სასულიერო პირნი გაეცვნენ უნის და ბევრმა მიიღეს კადება. მათგან გავრცელდა ერის კაცებში, ქართველებსა და სომხებში<sup>4)</sup>. ანტონის ამისთანა საქციიელმა ჩქარა მიიჭირა ყურადღება მეფისა და სამღვდელოებისა. მრავალი სასულიერო პირნი შეიქმნენ მხილებელი კათალიკოსის, რადგან მან უარ-ჰყო თვისი რჯული, რომელიც დაიცვეს წინაპრებმა სისხლით. თემიურაზ II გაუგზავნა ნინოშმინდელი (ბოდბელი) მიტროპოლიტი საბბა, თუზიშვილი, მეფის შვილის გიორგის მიმრქმელი, ანტონის, გასაგებად მისა—ნამდვილად მართალია კათალიკოსისაგან უნის მიღება, თუ ჯერ მარტო განზრახვა აქვსო. საბბამ ამისთანა საშუალება იღონა ამ შემთხვევისათვის. ის მივიღა ანტონთან და ოლსარების. დროს აღიარა მასთან, რომ იგი კათოლიკების სარწმუნოებას შეუდგა და არავითარს ტანჯგას ამ ქვეყნიურსა, არცა სიკვდილსა არ ძალ-უძო იგი შეარყიონ და უარი ათქმევინონ. რომის სარწმუნოების კეშმარიტებაში. ანტონი მოსტუუცდა: ამ დღი-დღან იწყო მან მიწერ-მოწერა საბბასთან, დაარწმუნა იგი

<sup>4)</sup> Собрание рук. актовъ. №. 321, 389; 471. ღირს შესანიშნავია ის, რომ ანტონმა მაიდა უხვი შემოწირულება თვის სიმამრის გივი ამილახვარისაგან ქათოლიკეთა ეპიდესიების სასარგებლოდ ქათოლიკები, ახალ-ციხეში და იმერეთში (ქათოლის წერვება II, გვ. 417).

ვითომ რომის სარწმუნოების უპირატესობაში. რამოდენიმე ხნის შემდეგ ამ წერილებმა დასაჯეს იგი <sup>5)</sup>). ანტონს უხაროდა, რომ მან მოინადირა საბბას გული და გახადა თვისი. თანამოაზრე; მოუწოდა შემდეგ კათოლიკების პატრია ნიკოლას და აუწყა საბბას მოქცევა რომის სარწმუნოებაზედ.— „დავიკირეთ თუ არა ბადეში ზუთხია“,— ამბობდა იგი. პატრის ეჭვი ჰქონდა ამაზედ.— „მე ვძრწი, ვაი თუ ამ ზუთხმა ბადე გახიოს და თან გაიყოლოს წვრილი და სუსტი თევზებიცაო“,— უპასუხებდა ანტონს ეს პატრი <sup>6)</sup>).

მოგვყავს აქვე მოკლეთ ისტორია ლათინთა პროპაგანდისა საქართველოში. აღმოსავლეთის და დასავლეთის ეკკლესიების განყოფის შედეგ (1054 წ.) საქართველო მიემხრო მართლ-მადიდებელს საბერძნეთსა. ჯვაროსან ომიანობის დროს საქართველო (რომელმაც მიიღო მონაწილეობა ქრისტეს საფლავის განთავისუფლებაში) პირველად შეეტაკა ლათინთა სწავლასა, თუმცა ლათინებს ვერა დააკლო-ჩა. როდესაც ლათინთა ძალა შეირყა სირიასა და პალესტინაში სარაცინებისაგან, პაპმა სთხოვა შემწეობა ქართველს დედოფალს რუსულდანს, რომელსაც არ შეეძლო შემწეობის აღმოჩენა მის-თვის, რაღაც თვითონ ეომებოდა მტერსა. XIII საუკუნის დამდეგს საქართველოს შემოესია საშიში ჯარი ჩანგის-ყაენისა. რუსულდანმა პირველად სთხოვა ქრისტიან მეზობლებს (მთიულებსა და სომხებს) შემწეობა სარწმუნოების დასაცელად. სხვათა შორის ის მიიქცა პაპა პონორი III (1224 წ.) ეპისტოლეთი, რომელშიაც ატყობინებდა მას მტრების შემოსევას და მათთან ამში დახმარებასა. ჩანგის-ხანმა პირველად დასკათავს-ზარი სამხრეთ რუსეთსა და ამის შემდეგ კითოლიკებსაც ხვდება წილად მისი რისხვა. დედოფალი ბოდიშს იხდიდა პაპთან; რომ ვერ მიემხრო მას სარაცინებთან ომის დროს; ამას-

<sup>5)</sup> კრებული ხელთანაწერებისა, გვ. 431).

<sup>6)</sup> აქვე, გვ. 431... (საქუთაში ხელთანაწერი შ. ითხელიანისა).

თანავე გამოსთქვამდა იგი სიხარულს, რომ პაპი აგზავნდა იმპერატორს (ფრიდრიხ III) სარაცინებთან საბრძოლველად და ჰპირდებოდა მას მასთან ერთად ეომნა. სარაცინებთან ქრისტეს საფლავის განსათავისუფლებლად. ეს ბარათი დედოფლისა სპასალარის ივანეს ბარათითურთ გაუგზავნა მან ქ. ანის ეპისკოპოზის დავითის ხელით. პაპმა აქმ მღიერნელობით დედოფლის განზრახვანი, აქეზებდა ქართველს ერს და სთხოვდა უფალს, რომ ისინი შეერთებულიყვნენ ფრიდრიხთან საზოგადო მტრების დასამარტხებლად. ჰონორი სთხოვდა მას ხალხში წაკითხულიყო ეს ბარათი. მაგრამ შემწეობა მაინც არ მისცა მან დედოფალსა. ქართველები კი სომხებთან ერთად იღებდნენ მონაწილეობას ჯვარისან ომში. მონგოლებმა მოაოხრეს კავკასი, სომხეთი, ალბანია (რომელიც საქართველოს ეკუთვნოდა) და აიღეს მრავალი ქალაქები ივერიისა (1237—1240 წ.). რუსუდანი მაინც არ ემორჩილებოდა თათრებს და მიჰმართა ქრისტიანებს ამხედრებულიყვნენ ჯვრის მტრების წინააღმდეგ და ხელმეორეთ მიჰმართა ეპისტოლეთი პაპა გრიგოლ IX (1238 წ.). იგი სთხოვდა შემწეობას მონგოლებთან საბრძოლველად და აღთქმას აძლევდა თუ დაეხმარერებოდა თვისის ქვეშევრდომითურთ მიიღებდა „რომის სარწმუნოებასა“<sup>1</sup>. პაპი სწერდა, რომ მას ამ უამაღ არ შეუძლია შემწეობის აღმოჩნდა, რადგან კათოლიკეთა ეკლესია დიდს განსაკლელშია. ჩავარდნილი ფრიდრიხი II-გან გერმანიაში, სარიცინებისაგან — სირიაში, მავრებისაგან — ესპანიაში და თითონ ქრისტიანებისაგან — იტალიაში. აქებდა დედოფლის მოსაზრებასა კათოლიკობის მიღებაში. პაპი ჰპირდებოდა გაეგზავნა. მის ქვეყანაში დომინიკანელი ბერები (ეს ცნობები ამოღებულია ჩვენგან „Le chistianisne enhine en fartany et au fibet“-გან. პაპის წერილი დაბეჭდილია „Odor Ragnaedi Annalless“-ში ესი 1224, ყ. 536). რუსუდანის წერილი 1223 წელსა ჰონორი III: „ჩემი ძმა, საქართველოს მეფე გარდაიცვალა, მე გავხდი მისი მემკვიდრე. მე თქვენ

გთხოვთ ლოცვა-კურთხევასა ჩემი და ჩემის ქვეშევრდომთათვის. ჩვენ შივიღეთ რჩევა თქვენის ლეგატისაგან, რომელიც დამის ენტში (ქვემო ეგვიპტეში) იმყოფება, რომ ჩემს მას შემწეობა მიეცა ქრისტიანებისათვის. მან კიდევაც გადასწყვიტა და მოემზადა წასასვლელად, მაგრამ ურჯულო თათრები (მონ-გოლები) შემოესივნენ ჩვენს ქვეყანასა, ბევრი უბედურება მიაყენეს ჩვენს ხალხსა და 6000 კაცი გაგვიულიტეს. ჩვენ არ ვუფრთხილდებოდით მათ, რადგან ქრისტიანები გვეგონა, მა-გრამ, როდესაც გავიგეთ, რომ ისინი ურჯულოები იყვნენ, ჩვენ შევკრიბეთ ჩვენი ძალა და დავესხით თავზედ მათ, ამოვ-ხოცეთ 25,000 კაცი, წავიყვანეთ მრავალი ტყვე და დანარ-ჩენი გავაძევეთ ჩვენის კუთხიდან, და იმ ამათ შეგვიშალეს ხელი თქვენის ლეგატის რჩევის ასრულებისა. ახლა ჩვენ გა-ვიგეთ, რომ იმპერატორი ფრიდრიხ III, თქვენის ბრძანებით, უნდა მოვიდეს სირიაში, წმ. ქვეყნის განსათავისუფლებლად. გვაცნობეთ, როდესაც უნდა წავიდეს ის იქა, დანიშნეთ დრო და ადგილი, როდის და სალ უნდა გავგზავნოთ ჩვენი სარ-დალი იოანნე და მრავალი სხვა აზნაურნი მთელის ჩვენის შეიარაღებულის ჯარით ქრისტიანების მოსახმარებლად და წმიდა საფლავის განსათავისუფლებლად. თქვენ უნდა უწყო-დეთ, რომ ჩვენი სარდალი იოანნე და მრავალი აზნაურნი ჯვაროსნები გახდნენ და უცდიან ჯვაროსანთ წასვლას. ამი-სათვის ჩვენ ვთხოვთ ოქვენ გამოგვიგზავნოთ ცალკე წერილი ჩვენთან საკუთრად, როგორც აღმოსავლეთის ქრისტიანებსა თქვენის ლოცვა-კურთხევითა“<sup>1</sup>. ამისთან ავე შინაარსის ბარათი გაუგზავნა ჰაპს სარდალმა იოანნე. — ჰაპს მიუგო რუსუდანსა და იოანნესა ცალკე ეპისტოლეთი. იგი აქებს დედოფალსა და მის ერსა ქრისტეს სარწმუნოების მიმხრობისათვის და აცნობებდა წერილის ერთის წლის შემდეგ, უცხადებს რა იგი სრულს ცოდვების მიტევებასა მას და მის ყველა ქვეშე-ვრდომთა, რომელიც მიაღებდნენ მონაწილეობას. ამ თმში, ჰაპს სთხოვს დედოფალსა ეს ეპისტოლე წაუკითხოს ყველას.

ის დაწერილია 12 მაისს 1224 წ. („Novi e Obozрѣниe“ 1891 წ. № 2505, სტატია ერიცოვისა).

ჯალალ-ედინი დაეცა საქართველოს მოულოდნელად, აიღო იგი და იმეფა იქ. რუსუდანი გაიქცა იმერეთში და იქიდგან 1235 წ. სწერდა პაპი გრიგოლ IX (1225—1240 წ.), რათა შემწეობა მიეცა მონგოლებთან საომრად. თვისის მხრით იგი აღუთქვამდა მას მონგოლების გაძევების შემდეგ ჯვაროსნებთან ჯარის შეერთებასა. მაგრამ პაპმა შემწეობის მაგივრათ გაუგზავნა დედოფალს (1240 წ.) შვიდი ბერი მქადაგებელ ძმათა ორდენისა (tratres predicatorum) კათოლიკობის პროპაგანდისათვის. ამ მქადაგებლობის ცდამ დედოფლისა და მისის ერის მოსაქცევად უნაყოფოდ ჩაიარა. რადგან შემწეობა არ მიიღო პაპისაგან, რუსუდანმა უარ-ჰყო მათი სარწმუნოება. ქართველებმა და სომხებმა მაინც კონჩაკის მეთაურობით თათრებთან ერთად გამოუცხადეს ომი სარაცინებსა, რომელთაც დაამხეს რა პტოლომეიდა, დაიპყრეს სირია და პალესტინა და დროებით შეაჩერეს სარაცინები ქრისტიანების ქვეყანაში. (Церк. Исторія II. Іоселіану). პაპებმა განაგრძეს თვისი პროპაგანდა. საქართველოში. პაპმა ნიკოლოზ IV—1289 წ. გამოგზავნა საქართველოში ახალი მქადაგებლები იმავე tratres prædicatiōnes ორდენისა, რომელიც მიიღო მეფემ დიდის საონოებითა. მეფემ დაარსა. მათი ეპისკოპოზის კათედრა ტფილისში. პაპმა ითანხ ღმის IV—1294 წ. ახალი ეპისკოპოზი ითანხ ფლორენტინელი განსაკუთრებითი სიგელითა, რომელიც დაცულია in Annol. Nist. Baronii. (Ист. Церк. II. Іоселіану) და გაუგზავნა. წერილები მეფეს და მთავრებს. ეს მოხდა 1329 წ. ეს კათედრა, იყო ხარების ეკკლესიის ახლო, ახლანდელი კათოლიკეთა ეკკლესიის მახლობლად. 1600 წ. ამ კათედრაზე ეპისკოპოზი არ მჯდარა და მართავდნენ პატრები (Опис. Древн. г. Тифліса, II. Іоселіану) სია იმ პატრების და აგრეთვე საინტერესო ცნობანი კათოლიკეთა პროპაგანდაზე აქვს 3. უმი-

კაშვილს. ეს ცნობები ამოღებულია ვატიკანის წიგნთ-საცავიდან. მე-XVII საუკუნიდან მოკიდებული საქართველოში ხშირად მოდიოდნენ პაპის მისიონერები და მოგზაურები, უფრო კაპუცინის ორდენისა, რომელთაც დაგვიტოვეს ცნობები ქართველთა ერის პოლიტიკურ და რელიგიურ ცხოვრების შესახებ. ამისთანები იყვნენ, მაგ., ვინცეცი მარკო-პოლო, ვილდებრანდი, პლანო-დე-კარპინი, ვილჰელმ რუბრუკი, ასცელინი და სხ. ისინი სცდილობდნენ დაენერგათ ქართველს ხალხში პაპის ბატონობა და კათოლიკის სარწმუნოების გავრცელება. მაგრამ იმდენი ნაყოფი ვერ მოიტანეს. ფლორენტინის კრებაზედ (1437—1439 წ.) უფრო ძლიერ იმოქმედეს კათოლიკებმა ქართველებზედ. რადგან პოლიტიკური მდგომარეობა ძლიერ შეირყა, ამისათვის საქართველო, სომხეთი და ბიზანტია იძულებული გახდნენ შემწეობა ეთხოვათ პაპებისათვის და ფლორენციაში პაპის-მიერ მომხდარ კრებაზედ დასწრება იღმოსავლეთის და დასავლეთის ეკკლესიების შესახროებლად. ამის და საბერძნეთის იმპერატორის და ლათინთა ბერების მოთხოვნილებისა გამო ქართველი მეფე კონსტანტინე III (თუმცა ლათინებს არ თანაუგრძნობდა) გადასწყვიტა გაეგზავნა მოციქულები პაპა ალექსანდრე VI ფლორენტინის კრებაზედ დასასწრებლად საბერძნეთისა, რუსეთისა და სომხეთის წარმომადგენელებთან ერთად. საქართველოს ეკკლესიის წარმომადგენელები იყვნენ მიტროპოლიტი იოანნე, რომელსაც ეწოდების კიდევ ისიდორე—გრიგოლი, ერთი ქართველი თავადი და აგრეთვე ტრაპეზუნდის მიტროპოლიტი დორეთეული. ქართველ მიტროპოლიტმა და თავადმა სრულიად არაფერი არ დასთმეს ლათინთა სარწმუნოებისათვის, თუმცა ბევრს ეხვეწნენ პაპი ევგენი IV, ბიზანტიის იმპერატორი და სხვა უნის მომხრენი. როდესაც პაპი და იმპერატორ პალეოლეგმა მოიწადინეს ძალით ზომების ხმარება ხელის მოსაწერად მართლ-მადიდებელის ეპისკოპოზებისაგან კრების დადგენილებაზედ. მაშინ მიტროპოლიტი იოანნე საიდუმლოდ წამოვიდა

ფლორენციიდან ვენეციაში და იქიდამ კონსტანტინეპოლით საქართველოში მოვიდა. (ჩრთვა ისტორია ერთი ცერკვი, II. იოსელიანი). საქართველოს ეკკლესიამ ფლორენციის უნია არ მიიღო, მაგრამ კავშირი დასავლეთის ეკკლესიასთან მანიც არ შეწყვეტილა. მაგ., 1460 წ. მეფე გიორგიმ გაუგზავნა პაპს კათალიკოზი ნიკოლოზი. ეს უკანასკნელი მოვიდა კოლხიდით და სკვითით ვენეციაში (შედეგი ამ მოციქულობისა თურქთა შემოსევისა გამო არ ვუწყით. (Опис. др. г. Тифлиса, II. იოსელიანი).

მე-XVII საუკუნის დამდეგს, ორდესაც ლათინთა მისიონერებმა მთელი ქვეყანა მოიცვეს, სხვა-და-სხვა ორმაელის ორდენის ბერები მოვიდნენ საქართველოშიაც. 1625 წ. საქართველოში დამკვიდრდნენ მისიონერები თეოტინელი ორ დენისა და 1615 წ. პირველად მოვიდნენ ქ. გორში ორმდენიმე ბერები კაპუცინბს თარდენისა, დაიქირავეს იქ სახლები და დაუახლოვდენ მცხოვრებლებს. ეს ორდენის წინანდელ მისიონერებს არ ჰგავდნენ. ისინი ძლიერ ფრთხილად მოქმედებდნენ და ამისათვის ძლიერ საშიში იყვნენ ივერიის ეკკლესიისათვის. ზემოხსენებული კაპუცინები იყვნენ ვითომდა ექიმები და ამიტომ იმათ ჩქარა მოიპოვეს სიყვარული ხალხში, უფრო-კი სომხებში. ორდესაც პაპს ურბან VIII-ეს შეატყობინა თვის ვრცელ მოხსენებაში ბერმა პეტრე ვალემ (1614—1627 წ.) ამ ორდენების ნაყოფიერი მოქმედება, მან 1626 წ. გამოგზავნა განსაკუთრებული მისიონერი ავიტა-ბოლი ქართველ მეფეებთან ქ. ვორში ნიადაგ მისიის დასაარსებლად. მას, ვითომდა ექიმს, დიდი პატივს სცემდნენ მეფე და კათალიკოსი ზაქარია (რომელიც სომხითის კათალიკოსი ჰელია შეცდომით გრაფ ტოლსტოისა). და იმის ნებართვით მათ გახსნეს ქალაქში „კაპილიცია“ და არწმუნებდა მათ დაეკავებიათ პაპთან მეგობრობა. 1629 წ. მეფე და კათალიკოსი მართლაც მიიქცნენ ურბან VIII წერილით, რომელიც ინახება, 3. იოანეს სელიანის სიტყვით, კლიმენტ გალთან (Conciliat de le gl.

Armen. anec. legc. Rom.) դա մռածեցնց մաս Շյեսահյօթ լուտոնտա մոյք „կաპոլուս“ ջաարևեծիս վ. ցորշո. Յակմա աղրդաւոյ գամուցինացնա մացոյրագ կատալուկոս սամեցովրո յիսէրուց դա մյուցը Շյեմա. 1631 վ. ազուրա-ծերմա գաասահա Յակո ծերեծիս նապոտոյը մովմյուցեծոտ դա Յակմա 1635 վ. գամուցինացնա աեալո մուսոներեծի—կապունեցի սայահուզուլունի ոմ անրոտ, հոմ դայարեծիս սամուլամո մուսսօս սագիտո վալույ Ծոյուլուսնի. ամ մուսոներեծիմա մուուց ամաց Ռյուլո Շյմուցի Ս-ին Ծերեսո օնսէրույսի ազուրա-ծերուսացն: ա) ասապուլուծլագ տազուրամ սասուամունո Շյերայյեծիս վարուզուլուցտան դա սամլուց լուցիստան օյաճացոն մեռլուց սոմեցի դա օսու տոտու տոտում; բ) մոչուն եյլո յյոմոծաս; գ) մոյուցտ երեա լուրուրուս Շյերուլուցիս սայուզունուն Շյեսամուսնի; դ) հաուցան սեցա սեցա նաուրո Շյեսամուսո; յ) ոսուլուն պեյնեծի, մասեյրնո դա սմյեծի; զ) օյուն զայրուս դա ույլուցիս ցասեսեցա դուցս սարցեցուն դա սե. (Римскій католицизмъ въ Россіи графа Толстого). ամ մուսոներեծի լուրու կատուրու լուտոնտա յյուլուսո, հոմյուլու ոյու մուրուզուլու 1600 Ռյուրան յյունուսունուն. յյուլուսուս Ռյոնամիւրուցի օնոնյու ծուրեն հոմուս յուլուցիս ֆարմուցենուլուտ, հոմյուլու ոյու լուրու կատուրու կատուրու յյուրո սարՌյունուցիս ցասա սայուզուլուցլագ, լուրու մոցինայրո Շահուցնո սպեռուրուն մատտան մյ-XVII սայուզնուս նաեցարնո դա սիյը մատս մուցու մարյունանց Ծոյուլուսնի, ցորշո, սամեցրուլուն դա վյուտասնի. ցարու նյյուսեցնեցուլուս յյուլուսուս մատ Ֆյոնդատ կուցու պալույ սաելո, սագաւ սարուլուցնեն սագումուլուց լուտուս մասեյրուցիսա; օսոնո մալուցնեն տազունտ եարուսս դա մովմյուցեծնեն մալուտ; եալուս ունուն մատ հորցուրու յյումսա դա զայրեցիս. օսոնո արարյուն նյյունուն պեռուրուս դա Շյեմլուցիս դա ցարուագ սպելուս Յարուցուսուս սպալուրուն տացուցի լուց կարուցուտ յյուրուն օսոնո, սպալուրուն սամսաեյրնոս յյումուտ, ույլուտ, Շյայլուցուն ցալուտ, մուսոյուտ դա

სასიამოვნო მუსაიფით; დიდის პატივით ეპყრობოდნენ საძლვ-დელოებას და ორგესაც მიეცემოდათ შემთხვევა აქეზებდნენ მათ—შეესწავლათ მათი საღვთისმეტყველო მეცნიერებანი. მეფების იყვნენ საუკეთესო შეკრძალები და აყვარებდნენ თავსა. სასახლეში მათ ეპყრობოდნენ დიდის პატივითა. ცნობილი მოგზაური შარდენი გამოცხადდა ორსტომ მეფის სასახლეში XVII საუკუნეში „სასახლის მდივნის, რაფაელ პატერითურთ“ ქორწილში კაპუცენების თანხლებითაცა. ქორწილ-ში კაპუცინებს ეკავათ საპატიო ადგილი „ეპისკოპოზების შემდეგ“ და შექეიფილნენ თუ არა, იწყეს სადღეგრძელოების სმა. მეჯლისზედ მეფის თხოვნით „კათოლიკეთა პრეფექტმან“ მოიტანა Epinetfe და „ითამაშა ბასზედ და იმღერა“. ბოლოს მეფე სვამს ესპანიის მეფის სადღეგრძელოს და ალავერდს ულოცას იმავე სასახმოთი პრეფექტსა. ეს უკანასკნელი გარემოება აიხსნება იმით, რომ ხრისტიანი ლათინთა ბერები სკდილობენ გავრცელონ საქართველოში ის აზრი, ჭირობულობის კართველები კათოლიკეთა იბერების ნათესავნი არიანო. ამ აზრს იცავდნენ პაპები. პაპი კლიმენტ VIII მეფე თეიმურაზ I წერილში უწოდებს ფრიდრიხ II ნათესავად. „ამ დღიდან, სწერს შარდენი, თეიმურაზის მოადგილენი მედიდურობენ ნათესაობით“. მისიონერები სკდილობენ დაბალ წოდების ხალხთანაც დაახლოვებასა. უანგარო ვითომ-და ბერები უფასოდ არჩენდნენ ზოგიერთ ავალმყოფ გლეხებსა და უფასოდ აძლევდნენ წამლებს ყველასა და ამ გზით უნდოდათ თავიანთი სარწმუნოების გავრცელება მათში.

ამ გვარი საშუალებით მისიონერებმა მოიპოვეს სიყვარული ხალხთან და სამღვდელოებასთანაცა. მათი საქართველოში გადმოსვლა ძრიელ სასარგებლო იქნებოდა, თუ მართლმადიდებლობისათვის არ ყოფილნყვნენ საშიში. იმათის მეოხებით მე-XVIII საუკუნის ნახევარში საქართველოში აღორძინდა მრავალ-ფეროვანი ლიტერატურული ნაშრომნი და ქართველები პირველად გაეცვნენ სხოლასტიკურ განათლებასა

და ახალს ევროპის ცივილიზაციის ნაყოფისა. ისინი აარსებდნენ საცკკლესიო სკოლებსა. მათ ვრცლად ჰქონდათ შესწავლილი ლვოის-მეტყველება, ფილოსოფია, პოეზია, ისტორია, განსაკუთრებით ძელი და ახალი ენები და ამისათვის წინ გაესწროთ მაშინდელ ქართველ სამღვდელოებისთვის, რომელიც მოკლებული იყო ევროპის მე-XV და XVI საუკუნის განათლებასა და ამისათვის მისიონერები ბევრჯელ გაუბამდნენ საუბარს სხვა-და-სხვა საგნებზედ ქართველებსა, ხშირად იყვნენ სამღვდელოების მეგობარნი. თან და თან მოტყუებით ქართველები შამოიტყუეს სკოლებში და შეასწავლეს სხვა-და-სხვა მეცნიერებანი. ისინი ადგენდნენ სასწავლო სახელ-მძღვანელოებს, დახსარებას უწევდნენ ქართველ ნასწავლ კაცებსა და სხ. მათ გაუწიეს შემწეობა, მაგ., საბბა ორბელიანსა ქართულის ლექსიკონის შედგენის დროს, რომელზედაც მრავალი წელი იღვწოდა ავტორი. მათდამი პატივისცემა განცხოველდა მაშინ, როდესაც თვითონ მათ დაუწყეს შემუშავება ქართულს ენასა და ლიტერატურასა. მე-XVII საუკუნეში რომში „propagande tide“. ს კოლეგიაში დაარსდა ცალკე განყოფილება მისიონერთა, რომელიც იგზავნებოდნენ საქართველოში, დაწესებულ იქმნა ქართულის ენის კათედრა და პ. იოსელიანის მოწმობით, გამოიცა ერბახის და პაულინის საფასით შემდეგი ელემენტარული ქართული წიგნები: Alphabatum ibericum, siv Ceorgianum cum oratione dominica halutatione angelica; Ditionario Ciorgiano e italiane 1629 წ. ამაზედ უფრო ადრე 1626 წ. შეადგინეს პირველი ქართული ტალიანური ლექსიკონი 3084 სიტყვებისაგან შემდგირი პ. პაულინმა და ირბასმა, ტომით ქართველმა, რომელიც იყო ცნობილი (კლაპროტია და ს. მარტენით) მე-XVII საუკუნეში მთელს საშუალო აზიაში თვისის ცოდნით და დიპლომატიური მოქმედებით. რამოდენისამე ხნის შემდეგ გამოვიდა პირველი ქართული გრამმატიკა კათოლიკეთ მისიონერის მედჯისა (Maria medgio), რომელშაც გამოსცა იგი პირველად.

1643 წ. და მეორედ 1670 წ. იგი ეძლვნებოდა პაპა ურბან VIII, რომლის მონდობალობითაც იქნია. შედგენილი. ამ წიგნის წინასიტყვაობიდგან სჩანს, რომ ავტორი „პაპის-მიერ გამოგზავნილი ივერიასა და კოლხიდაში“ შეხვდა იქ თავის მოძმეებსა, მისიონერებსა, „რომელნიც მიზიდნეს იქა არა ოქროებმა, როგორც მიზიდნა ერთს დროს არგონავთები, არამედ მხოლოდ პაპის ბრძანების აღსასრულებლად სურვილა“ მაჯის მოგზაურობის მიზანი იყო შეესწავლა აქაური ენები და ამ მიზნის მიღწევას შესწირა მან 22 წელიშადი (Цагарели. О грамматической литературѣ груз. яз., გვ. 47 და 100). ეს მაჯი, ანუ „მუსიო მაჯი“, როგორც ქართველები ეძახდნენ, ცხოვრებდა საქართველოში. ფრანგის ვაჭრის სახელით. 1736 წ. მან შავალა 6,500 ლევკი კათალიკოს დომენტი III, რომელიც კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა (Рукописный сборникъ груз. актовъ). ამაზედ უფრო ძირე გამოვიდა ნირჩიის გრამმატიკა, კატებიზმო მაჯისა და სხ. კაპუცინი ფრანცისკო ბოლონელი შეეწია კათალიკოზს ბესარიონს (1724—1739 წ.) „გრძელების“ შედგენაში, რომელც იყო დაწერილი კათოლიკების საწინააღმდეგოთ („წყობილ სიტყვაობა“, გვ. 217). ამ მისიონერების მეოხებით პირველად გაეცნო ევროპა ქართულს ენასა, ლიტერატურასა და ერსა, ხოლო თვით ქართველობაში. მათ დანერგეს სიყვარული ევროპისა და მისი განათლებისადმი. მისიონერებმა ასწავლეს ქართველებს სტამბის მნიშვნელობა, საეკკლესიო წიგნების დასაბეჭდათ, ასწავლეს მას თუ როგორ უნდა შეიკრიბოს ისტორიული ნაშთნი, საერო და სასულიერო მწერლობა და სხ. მისიონერებმა ყველგან დაუგეს მახე მართლ-მადიდებლობასა. ჩვენ უკვე მოვიხსენეთ, რომ იგინი და ემკვიდრნენ ტფილისა და გორში. აქედამ ისინი მოქმედობდნენ თავისუფლად მე-XVIII საუკუნის შუამდე. ზემოხსენებული ნირჩიო იყო მე-14 პრეფექტი გორისა (მე-XVII საუკ. და წყებული) და შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ხნის განმავალი

ლობაში არ შეწყვეტილა ამ პროპაგანდისტთა მოქმედება. ყველაზედ უფრო მოედვნენ მისიონერები მესხეთსა. ახალ-ციხეში იყო მაჯი, ავტორი პირველის ქართულის გრამმატიკისა და კატეხიზმოსი; იქ მან ნახა თავისიანები. ახალციხიდან იგზავნებოდნენ მქადაგებლები იმერეთში, სამეგრელოში და გურიაში. გურიაში თვითონ მაჯიმ მე-XVIII საუკ. ნახა თვითი მები (Граммат. лит. гриз. яз., Цагарели, გვ. 47). უწყებულ არს აგრეთვე (წყობილ სიტყვაობა, გვ. 224), რომელ გურიის ეკულესის შესანიშნავმა იერარქმა იაკობ შემოქმედებლმა პირის პირ პაპის, ინოკენტი XII თხოვნისა გამო რომში იაკობის მყოფობის დროს (1678 წ.) მოიყვანა გურიაში და იმერეთში შვიდი მქადაგებელი კათოლიკების ბერები ძვირფასის სახუქრით და წერილით პაპისაგან მეფისა და აფხაზების კათალიკოსისათვის მისართმევად. შემდეგ, როდესაც გაძლიერდნენ ბერები და შეიქმნენ საშიში მართლ-მადიდებლობისათვის, იაკობი ამხედრდა მათს წინაშე თვისის თხზულების მეოხებით. სამეგრელოში ავრცელებდნენ კათოლიკიზმს არგა და გელო ლამბერტინი და იოსებ იზმანი 1630 წ.; უკანასკნელმა დაგვიტოვა ვრცელი აწერილობა სამეგრელოსი (Bibliographia Caucasica et Transcaucasica par M. Miansarof. СПБ. 1874 წ., გვ. 321, 327). გარდა ამისა ცნობილია კიდევ რამოდენიმე მისიონერი, რომელნიც მოქმედობდენ იმერეთსა და ქართლში მე-XVIII საუკ. და რომელთაც დაგვიტოვეს საქართველოს აღწერა: იოანნე, ლუკა, მენო, ანჯიოლელო, პეტ ვალლე, ფრანცისკო ბოლონელი, ბინავენტურა. პალუანელი და სხ. აქედამ კაპუცინები მიდიოდენ კავკასიონის მთებში, ყიზლიარში, ქისტებში და ასებში, მაგ., (მარია და სოტენი), მაგრამ აქედამ ისინი განიდევნებოდნენ ხოლმე რუსეთის მთავრობისაგან (ნეტკოვა I, 156, 437—438).

საქართველოს ყველა ადგილებში ამ მისიონერებმა საკმაოდ იმოქმედეს. ქალაქებში—ქუთაისში, გორში, ტფილის-

ში და ახალციხეში მათ შეადგინეს ქართველ კათოლიკეთა საზოგადოებანი. ქართლში ლათინების სარწმუნოება მიაღებინეს თ. ორბელიანებსა. მათ შორის შესანიშნავია ცნობილი პოეტი და ფილოსოფოსი იმ დროისა ვახტანგ ორბელიანი, რომელმაც გადმოსთარგმნა ლათინურიდან ქართულს ენაზედ თხზულება „სარწმუნოება“. იგი წავიდა რომში (წყობილ-სიტყვაობა, §§ 809—810). იგი მახლობელი ნათესავი იყო შეფე არჩილი და ლევანისა. მე-XVIII საუკ. ლათინური სარწმუნოების მიმღები საბა სულხან ორბელიანი მიემგზავრება ევროპაში პალიტიკური მონდობილობისა გამო ქართველი მეფისაგან, იქ ძლიერ კარგად მიიღეს, პაპი კლიმენტ XI გადასცა ლოცვა-კურთხევა, აჩუქა ნაწილი ცხოველ-მყოფელის ჯვრისა და წმ. კლიმენტი რომაელის ნაწილები. აქედამ დაბრუნდა ის საქართველოში. როდესაც ს. ს. ორბელიანმა ულალატა მართლ-მაღიდებელს სარწმუნოებასა, მემრე თვითონ იწყო კათოლიციზმის გავრცელება ქართველებში; ამისათვის მან შეადგინა თხზულება „სამოთხის ბჟენი“, რომელშიაც იხატებოდა ქება რომის სარწმუნოებისა და წესისა. ანტონი I უწოდებს ამ საბბას წიგნს „ჯოჯონეთის ბჟეთ“. შემდეგ რუსეთში მყოფობის დროს საბამ კვლავ მიიღო წინანდელი მართლ-მაღიდებელი სარწმუნოება და ამ სარწმუნოებაში გარდაიცვალა მოსკოვს, ვსესვიატეში 1725 წ. 26 იანვარს (დაიბადა 1659 წ. 24 ოქტომბერს). — საინტერესო დაწვრილებითი ცნობანი მისი ბოლგრაფის შესაღენად ჩვენ ვნახეთ თავადთ ქობულაშვილების სახლში.

ამ მისიონერებმა განაგრძეს თავიანთი მოქმედება 1755 წლამდე, როდესაც მათ მიაღებინეს ლათინთა სარწმუნოება თვით ანტონ I კათალიკოზ-პატრიარქსა, რისა გამო კათალიკოსთან ერთად სხვანი მრავალნი იერარქნი ივერიის ეკკლესიისა გაძევებულ იქმნენ სამშობლოდან კრების დადგენილების ძალითა. ანტონის რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ კათოლიკების მისიონერებმა ხელ-მეორედ იჩინეს თავი

საქართველოში და მხოლოდ 1844 წ. სრულად იქმნენ გან, დევნილი საქართველოდან რუსეთის მთავრობის მიერ.

ეს სტატია ზოგიერთის დამატებით დაბეჭდილი იყო ჩვენ-მიერ გაზეთს „კავკაზში“ 1885 წლის იანვარში.

მღვდ. კ. ანთაშვი.

(შემდეგი იქნება)

## ქართველთ მოქადაგა.

ქართველთ დმეროები.

ორშაზ ბრწყინვალი,  
თავისუფალი,  
არმაზ მგრევინვალი,  
ღმერთთა უფალი

იღგა გორაზედ,  
კლდესა მაღალზედ;  
უფლობდა ქართლზედ,  
ვითა მზე ცაზედ.

კერპი არმაზი  
იყო ძვირფასი,  
თვალი, ალმასი  
იყო თვალ მისი.

კაცისა მზგავსა,  
სპილენძით ქმნილსა,  
ოქროს ჯავშანი  
ემოსა ტანსა.

ოქროს ჩატხუტი  
ეხურა თავსა,  
ფრცხილი, ბიკრიტი  
ესხა სამხარსა.

ლესული ხმალი  
ეჭირა ხელსა,  
ხმალი ბრწყინვალი  
ზარს სცემდა ერსა.

მარჯვნით ეყუდა  
გაცის ანდალმი,  
მარცხნითა ედგა  
კერპი გაიმი.

ოქროის გაცი,  
ვერცხლის გაიმი—  
იდგნენ ვით კაცი,  
უსულო, ბეცი.

სეფეწულს ერთსა  
ცეცხლითა სწვიდენ,  
გაცსა, გაიმსა  
საღმრთოდ სწირვიდენ,

და მისსა მტვერსა  
შემოავლედენ,  
კერპისა თავსა  
გარდააბნევდენ. \*)

სხვა ღმერთნიც ჰყანდათ  
მაშინ ქართველთა,  
ყველა უყვარდათ  
უღვთოთ, წარმართთა.

\*) შატბერდის კრებული: „იუგნეს კერძნი. სხუნა ცა სამე-  
ფონი — გაცი და გა; და შეიწირეთდა მათა: ერთი სეფეწული ცე-  
ცხლითა დაწუგად და მტყველი გარდაბნევად თავსა კერძისასა“.

სტრაბონი: ქართველები მთელის წლის განმავლობაშა ასუ-  
ქებდნენ ვისმე ჭაბუქს. კერძის ღღეობისას შეიურებოდნენ, დასაკლავ  
ჭაბუქსაც მოიუვანდნენ; უფროთ კურუმი ბრძანებდა და შუბლისანი  
ვინზე „საღვთო შუბით“ უგზერდა ჭაბუქს, იგი რომ დაცემოდა,  
ქურუმები სინჯავდნენ და ერს აუწევდნენ, შეიწირა ღმერთმა მათი  
მსხვერპლი თუ არა, შემდეგ მკვდარი კადაჭინდათ სხვა ადგილას  
და უკელა მლოცველი მასზედ უეხს დაგამდა, რომ გაწმენდილიყო.

ზედაზნისა მთას  
ზადენ ღმერთობდა,  
ზედაზნით ზენას  
ესწორებოდა.

ქალ-ღმერთი იყო  
კერპი აფ-ნინა,  
მსგავსივე იყო  
კერპი დად-ნინა.  
ესენი იღგნენ  
პირსა გზისასა,  
მათ თაყვანს სცემდნენ  
ძეობისასა.

სწამდათ ქართველთა  
თვისთა კერპთ ძალა.

ამას რწმენითა

ამპობდა ყველა:

არმაზი—ღმერთი  
გრძელინვალის მზისა,  
ზადენი—ღმერთი  
ციაგ მთვარისა

ტკბილსა ცხოვრებას  
გვანიჭებენო,  
ქვეყნის ღიღებას  
გვარგუნებენო;

გვყავსო იგინი  
მზის მომფენელად,  
შვიმის მომცემნი  
ნაყოფთ აღმზრდელად,  
ქვეყნის მჰყრობელნი  
ქუხილთ ჰბადვენო,  
სიბრძნის წყარონი  
მიწას სძვრიანო.

რაცა რაც არსო,  
 მათ მიერ არსო,  
 გარეშე მათსა  
 არა რა არსო.  
 უფროს კოველთა  
 იყო არმაზი,  
 მთავარი ღმერთთა,  
 აღნაგ, ლამაზი.  
 დღესა ფურცლობის,  
 თვესა ქველთობის \*)  
 დღესასწაული  
 იყო არმაზის:  
 მოპერნდათ ერპო,  
 ყველი, მაწონი,  
 მოპყვანდათ კურო,  
 ვერძნი და ხბონი.  
 არმაზს ჰეორვიდნენ,  
 საკლავს უკლავდნენ,  
 საკმელს უკმელდნენ,  
 ლამეს უთევდნენ;  
 ჟამსა ჭირისას  
 კაცსაც სწირავდნენ,  
 დღესა ჟამისას  
 შვილსაც უკლავდნენ \*\*).  
 დ—ძ.

(შემდეგი იქნება)

\*) ივლისის თვე.

\*\*) შეფე რევ მართალმა (186—213 წ.). აღკრძალა კურტებისათვის კაცის შეწირვა მსხვერპლად.

## ს. ვალის სახელწოდებაზე.

(ახალციხის მაზრა).

ამ სოფლის სახელწოდებაზე და დაარსებაზე შემდეგი ზეპირგადმოცემაა ხალხში დარჩენილი: „ერთხელ ძალიან ძველ დროს, ერთს იმერელს აბასთუმნის გზით აქეთკენ ჩამოა უვლია, გამოუტოპავს ფოცხოვის წყალი (მდინარე) და დაუნახავს ერთი ძველი ტაძარი; მისულა, დაუთვალიერებია ეს ტაძარი, ძალიან მოსწონებია და დაბრუნების დროს ერთი მუჭა ცერცვი მიუპნევია და უთქვამს: „ეს შენ მოგავალ ეო“.

რამდენიმე თვის შემდეგ ამ იმერელს ისევ აქეთ გამოუვლია და უნახავს, რომ მის-მიერ ტაძართან მოპნეული ცერცვი ამოსულიყო და ძალიანაც გაზღილიყო. იმერელს მოსწონებია ეს ადგილები და გადმოსახლებულა აქ საცხოვრებლად. როცა ეს ცერცვი მოუთიბავს, უთქვამს: „ვალი მივიღეო“. ამიტომაც ამ სოფელს ჯერ გადა რქმევია და შემდეგ გადა დარქმევია.

ბაჭრატ ბერანელი.

## სახალხო ისტორია საქართველოსი \*).

სამეფოს დაანსებიდამ ქრისტიანობის მიღებამდე.

ფარნაოზი, პირველი მეფე საქართველოსი.

(301—237 წწ. ქრ. წინ.).

მეორე წელს აზონი ბერძნების ახალის ღიღ-ძალის ჯარით  
კულავ წამოვიდა ფარნაოზზე. ფარნაოზი მიეგება მას ქალაქ  
არტაანთან და გაუმართა აქ სასტიკი ოში. გარდა ქართველ-  
კახელებისა, ფარნაოზის ჯარში ღყვნენ: მეგრელ-იმერნი  
ქუჯის წინამძღოლობით, ოს-ლეკნი თავ-თავიანთის მეფებით,  
სომხების ერისთავნი და ის ათასი კაცი ბერძნ-მაკედონელთა,  
რომელნიც, როგორცა ვსთქვით, გადუდგნენ აზონს და მიემ-  
ხრნენ ფარნაოზს. ქართველნი იბრძოდნენ მამულისა და თა-  
ვისუფლებისათვის, ბერძნები — დავლისათვის. აზონის დამარ-  
ცხებით ქართველები სამუდამოთ თავისუფლდებოდნენ უც-  
ხოელ მოძალადის ხელისუფლობისგან და ამიტომ ესენი იმ  
დღეს დიდის თავ-გამოდებით იბრძოდნენ. ფარნაოზი ხომ  
გაშმაგებულის არწივსავით დაპქროდა ომის ველზე და ღვთის  
რისხვას აყენებდა მტერსა. იძლივნენ ბერძნები და უკუ-იქ-  
ცნენ. ფარნაოზი მიჰყვა კვალ-და-კვალ, მოპქლა აზონი და  
სრულიად ასწყვიტა მისი ჯარიც. შემდეგ შევიდა თვით სა-  
ბერძნეთის საზღვრებში, მოსტყვევნა იგი, მობრუნდა კლარ-  
ჯეთს და ჩამოვიდა გამარჯვებული მცხეთას, რომელიც ლხი-  
ნით და აღტაცებით მიეგება მას. ასე და ამ გვარად გაანთა-

\*.) ინდუსტრიული 1902 წ. № 1, დამატება, გვ. 57.

ვისუფლა ფარნაოზშა საქართველო, შეაერთა იგი თავის ხელის ქვეშ და იწოდა მეფედ. ეს მოხდა 301 წელს ქრისტეს დაბადებამდე.

გაანთავისუფლა ო საქართველო, ფარნაოზი ახლა მის შინაგან საქმეთა მოწეს-რიგებას შეუდგა. პირველ ყოვლისა მან უხვად დაასაჩუქრა თავისი მოკავშირე სარდლები და ჯარები; ზოგი გააზნაურა, ზოგს მამულები უწყალობა საშვილი-შვილოდ, მაგრამ ყველაზედ დიდა ჯილდო კი სამეგრელოს მთავარს და ოსეთის მეფეს მიაგო: ამ ორთ ფარნაოზმა მიათხვა თავისი დები და ამით სამუდამოდ დაინაოესავა და დაიკავშირა ისინი.

ქვეყნის უკეთ განსაგებად ფარნაოზმა გაჰყო საქართველო რვა საერისთაოდ და თვითეულს მათგანში დანიშნა ერთგული და ღირსეული კაცები, რომელთაც ეწოდა „ერისთავები“, ე. ი. ერის, ხალხის თავი კაცები და აგრეთვე — სპასალარნი (ჯართ-უფროსნი) და ათასის-თავნი, რომლებიც დაუმორჩილა ერისთავებს. ერისთავები განაგებდნენ ყოველს საქმეს თავის საერისთავოსას და ხარკსაც (სამეფოს და საერისთაოს) ესენი ჰქონებდნენ. გარდა ერისთავებისა ფარნაოზმა დააწესა აგრეთვე სპასმეტობა, რომლის გამგე იწოდებოდა ერისთავთ-ერისთავად, რაღაც იგი იყო უფროსი ყველა ერისთავებისა. ამ თვით საერისთაოები, რომლებზედაც დაჰყო ფარნაოზმა. მთელი საქართველო:

1) ეგრის-ჭანეთის საერისთავო, ე. ი. სამეგრელო და სვანეთისა; მის ერისთავად ფარნაოზმა დანიშნა თავისი სიძე და მოკავშირე ქუჯი. იგივე იყო პირველი სპასმეტი საქართველოსი. მან ააშენა ციხე-გოჭი (ე. ი. ქუჯის ციხე) იქ, სადაც ცხენის-წყალი უერთდება მდინარე რიონსა. ნანგრევნი ამ შესანიშნავის ციხისა დღესაც აკვირვებენ მის პნახველსა.

2) მარგვისის ანუ იმერეთის საერისთავო; აქ ფარნაოზმა ააშენა ორი ციხე: შოროპანი და დიმნა.

3) გახეთის საერისთავო, მდინარე ჯრაგვიდგან ალაზნის

შესართავამდე იორთან. ამის ერისთავი იჯდა ხორნაბუჯში (სილნალის მაზრაში, დედოფლის წყაროს ახლო მდებარე ციხე-ქალაქში).

4) ხუნანის საერისთავო, თბილისიდამ ბერდუჯის მდინარემდე, ერისთავი მისი იჯდა ქალაქ ხუნანში (მტკვარსა და ქციას შუა).

5) სამშვილდის საერისთავო, სკვირეთის მდინარიდგან (აწინდელის ვერის-ხევიდგან) ვიდრე ტაშირისა და აბოცის მთებამდე; ერისთავი მისი იჯდა სამშვილდეში.

6) წუნდის საერისთავო, თაფარავნის ტბიდგან, ვიდრე მტკვრის თავამდე (ჯვახეთი, არტაანი და კოლა); ერისთავი მისი იჯდა ქალაქ წუნდაში, ვარძიის მონასტრის ახლო, მტკვრის პირად.

7) თქმებ საერისთავო, ტასის ანუ ქართლის კარიდგან, ვიდრე შავ-ზღვამდის (სამცხე და აჭარა); ერისთავი მისი იჯდა ქალაქ ოძრხეში, ახლანდელის აბასთუმნის ახლო ახალციხის მაზრაში.

8) კლარჯეთის საერისთავო, ჭოროხის ხეობაში და

9) ქართლის საერისთავო, თბილისიდამ ტასისკარამდე. აშისი ერისთავი იმავე დროს ითვლებოდა სპასპეტად ანუ კრის-თავთ-ერისთავად. პირველ სპასპეტად, როგორც ვსოდეთ, იყო სამეგრელოს ცნობილი მთავარი ქუჯი.

ქვეყნის ასეთის მართვა-გამგეობისათვის, თქმა არ უნდა, საჭირო იყო ჩქარი მიწერ-მოწერა, სწავლა-განათლება, საერთო ენა და სხვა-და-სხვა წიგნები. ფარნაოზის დროს ყველა ეს შესამჩნევად აღორძინდა საქართველოში და ამიტომ ჩვენი ძველი ისტორია ასე შეამკობს ამ მეფეს:

„და ესე ფარნაოზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა, ქართლოსის ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არლა-რა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა; ამანვე შექმნა მწიგნობრობა ქართულოო“.

ფარნაოზი 27 წლისა იყო, ომი ავიდა საქართველოს ტახტზედ, იმედა 65 წელიწადი და გარდაიცვალა 237 წელს ქრისტეს შობამდე, ე. ი. იცოცხლა 92 წელიწადი. მთელი თვისი მეფობა ფარნაოზმა სრულს მშვიდობიანობაში გაატარა და აღავსო საქართველო ბევრი შესანიშნავი სოფლებითა და ციხექალაქებით. ქართველებმა დიდად იგლოვეს თვისი განმათავისუფლებელი მეფე და დაასაფლავეს იგი არმაზის მთაზე მისგანვე ამართულს არმაზის კერპის წინ, ქართლოსის საფლავის გვერდით. ამ აღგილას დღესაც დაცულია ძველისძველი ციხე, მთის მაღალ ფრიალო კლდეზედა, სულ ხუთიადე ვერსზე მცხეთიდამ. ამ ციხეს დღესაც არმაზის ციხეს ეძახის ხალხი. სურათი ამ ციხისა ჩვენ დახატული გვქონდა შარშანდელი „მოგზაურის“ პირველს ნომერში.

### ქეფე საურმაგი.

(237—162 წლ. ქრ. წინ).

ფარნაოზ შეფის სიკვდილის შემდეგ საქართველოს ტახტზედ ავიდა შვილი მისი საურმაგი. ერისთავებს არ უნდოდათ იგი მეფედ და აეშალნენ, მაგრამ საურმაგი წავიდა ძურძუკეთს, დედის ნათესავებთან, შეჰყარა ქლიერი ჯარი, ჩამოვიდა ქართლად და კვლავ დაიპყრა მთელა საქართველო. მას ჰყუანდა ცოლად სპარსეთის ერისთავის ქალი, ომელისგანაც ეყოლა მხოლოდ ორი ქალი. ამიტომ სამეფო ტახტის მემკვიდრედ საურმაგმა მოიყვანა სპარსეთიდამ თავისი ცოლის დედის წული შირვანი, ხე ნებროთისა, შერთო მას ცოლად თვისი ქალი და მისცა საერისთავო. სამშვილდისა. ხოლო მეორე ქალი მიათხოვა ქუჯის შვილსა. საურმაგი გარდაიცვალა 162 წ. ქრისტეს წინ და საქართველოს ტახტზედ ავიდა შვილობილი მისი მირვან ნებროთიანი...

მეფე მირვან ანუ ნებროთიანი.

(162—112 წ. ქრ. შობამდე).

მირვანისი იყო კაცი ფრიად მშვენიერი, ძლიერი და უხვად მიმნიჭებელი კეთილია. ამის გამო დიდად შეიყვარეს იგი ქართველებმა. მის დროს დურძუკელებმა დაივიწყეს სიკეთე ფარნაოზ—საურმაგისა, განუდგნენ მირვანისს და ქართალელებთან ერთად ანაზღეულად მოსტყვევნეს კახეთი და ბაზალეთი. შირვანისმა სწრაფად მოუყარა თავი საქართველოს ჯარებს, გაუძლვა მათ, შევიდა ძურძუკეთის შუაგულში, დაამარცხა დურძუკელნი, მოსრნა ურჩნი, ააგო დარიალის ხეობაში ციხე, შეაბა რკინის კარნი და დააყენა აქ ერთგული ჯარის კაცნი, რომელთაც უნდა დაეცვათ აქ საქართველო ჩრდილო ბარბაროსების შემოსევისაგან. მირვანის ჰყანება ერთი ქალი და ერთი ვაჟი—ფარნაჯომი. ქალი მიათხოვა სომხეთის მეფის ძეს არშაკს, ხოლო ფარნაჯომი მის სიკვდილის შემდეგ დაჯდა საქართველოს ტახტზედ.

მეფე ფარნაჯომი, ნებროთიანი.

(112—93 წ. ქრ. წინ).

ფარნაჯომი იყო კაცი მხნე და შემაერთებელი. მან ააშენა ქალაქები უჯარმა და ნეკრესი. ფარნაჯომი პირველად ერთგულად ეპყრობოდა მამა-პაპათ რჯულსა და ამართა ციხე ზადენში კერპი იმავე სახელისა (ახლა იქ ზედაზნის მონასტერია, მცხეთის ახლო), მაგრამ მალე მიატოვა რჯული ქართული და შეიყვარა რჯული სპარსული, ე. ი. ცეცხლის თაყვანის-ცემა. მან მოისურვა ახალის რჯულის გავრცელება საქართველოში და ამიტომ მოიყვანა მცხეთაში ცეცხლის მსახურნი და მოგვნი. ქართველთ დიდად იწყინეს ეს; შეითქვენენ და მოიწვიეს სომეხთ მეფის ძე არშაკი საქართველოს

მეფედ. სომეხთ მეფე დასთანხმდა აშაზედ და დიდ-ძალის ჯარით წამოვიდა საქართველოსკენ ფარნაჯომის ტახტიდამ გადმოსაგდებათ. ფარნაჯომი მიეგება მას სპარსეთის და ზოგიერთ ერთგულ ქართველების ჯარებითა ტაშირში (ბორჩალოს მაზრაში), მაგრამ იძლია და მოკლულ იქმნა. გამეფდა არშაკი, აგ სომეხთ მეფისა, რის გამოც მის სამეფო გვარს ეწოდა არშაკუნიანი. მაგრამ ფარნაჯომს დარჩა მცირე-წლოვანი ვაჟი მირვან, რომელიც მისმა მამა-მძუძემ გააქცია სპარსეთის და იქ აღზარდა. ამ გარემოებამ და ფარნაჯომისაგან ცეცხლის თაყვანის-მცემლობის შემოლებამ საქართველოში, როგორც ვნახავთ, ბევრი უბედურება და ომი აწვია ჩვენს ქვეყანას.

მეფე არშაკი, არშაკუნიანი.

(93—71 წ. ქრ. წინ).

არშაკმა იმეფთა 12 წელი. მეფობა მისი იყო მშეიდობიანი. ამით კარგად ისარგებლა მან და ბევრი სიმაგრე ააგო საქართველოში, რომ მტრის შემოსევის დროს თავ-შესაფარი ჰქონდა ხალხს. განსაკუთრებით კი მოამტკიცნა ზღუდენი ქალაქ წუნდისა (ჯავახეთში). მოკვდა არშაკი და გამეფდა აგ მისი არტაგ.

მეფე არტაგი, არშაკუნიანი.

(81—66 წ. ქრ. წინ).

არტაგმა მიეფთა მხოლოდ ორს წელიწადს. მის დროს მოუიდნენ სპარსეთის ერისთავნი დიდ-ძალის ჯარით, რათა დაბუბრუნონ საქართველოს ტახტი ფარნაჯომ მეფის შვილს მირვანს. არტაგმა ვერ კაბედა პირდაპირ შეჰმოდა მტერს და საჩქაროდ გაამაგრა ციხენი და ქალაქნი. სპარსენი მოედვნენ ქართლს, მოაოხრეს ველნი, მაგრამ ციხე-ქალაქნი კი ვერც ერთი ვერ აიღეს და წავიდნენ. მოკვდა არტაგი და გამეფდა აგ მისი ბარტომი.

(შემდეგი იქნება)

3802  
1902

ა უ ს რ ა ლ ი

# „მ ღ ვ ზ ა უ რ ი“

ღ

## „გ ა მ ი ს ა დ ე ბ ი ც ნ ი ბ ა ნ ი“

ს უ ლ 24 წ ი გ ხ ი

დირს 5 მანეთი (შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც  
შეიძლება).

აღნესი: Въ Тифлисъ, Редакции „МОГЗАУРИ“.